საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 ივნისი. 2017 წ. №113 (8250), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დონალდ რეიფილდი:

სააკაშვილის სინდისზე ისეთი და იმდენი დანაშაულია, მათზე მომავალი ისტორიკოსები იმსჯელებენ ③

ორი „უკანასკნელი მოჰიკანი“... სად არიან დღეს უკრაინის ქართველი რეფორმატორები? ④



⑥

ჩვენ ვერ შევედით ნატოში, სამაგიეროდ, ნატო შემოვიდა საქართველოში...

„პრეზიდენტმა“ თავი სრულიად გამოიაშკარავა

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და ქათმისტვინა ინდივიდები ⑦

ვაშინგტონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველო-აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე აღინიშნება ②

აზარტული ბიზნესი სარეკორდო მოგებით „ამაყობს“ ⑨

რას გვიქადის მახინჯი საკონსტიტუციო მოდელი?! ⑤



სხვათა გამოცდილება



⑧

იმპიჩმენტის პროცედურა

სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დაიღუპა

პანკისელი 25 წლის მუხმად ბაღაკაშვილის გარდაცვალებას მისი ოჯახი ადასტურებს. გავრცელებული ინფორმაციით, ბაღაკაშვილი სირიაში ავიაიერიშებს ორი კვირის წინათ ემსხვერპლა, თუმცა მომხდარის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. მუხმადი სირიაში 19 წლის ასაკში წავიდა. მას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ერაყსა და სირიაში მიმდინარე ეტაკებების შედეგად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 24 პანკისელი ახალგაზრდა დაიღუპა.

ოკუპანტებმა თბილისის მკვიდრი გაიტაცეს

ჯუმბერ ბექაური სოფელ არბოში ბიძასთან იყო ჩასული და სოფლის მახლობლად დააკავეს. დაკავებული ცხინვალის იზოლატორშია გადაყვანილი ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით.

ოკუპანტებმა საოკუპაციო ხაზთან ახლოს, სოფელ ბერშუეთის მკვიდრი 35 წლის მიხეილ ბიძინაშვილიც გაიტაცეს.

კლინიკის გახსნა აქციის ფონზე

ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა გაიხსნა. გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ჯანდაცვის მინისტრმა მიიღეს. გიორგი კვირიკაშვილმა აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილი გაიხსენა და მედიცინაში მის ღვაწლზე ისაუბრა.

„გილოცავთ, ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰქონდეს ასეთი თანამედროვე სტანდარტებით აწყობილი ჰოსპიტალი. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს განსაკუთრებული ადგილია და ატარებს ისეთი ღვაწლმოსილი ადამიანის სახელს, როგორიც გახლდათ ვახტანგ ბოჭორიშვილი. მე მხვდა წილად ვყოფილიყავი ერთი მოწვევის პარლამენტის წევრი ამ დიდ ადამიანთან ერთად და არასოდეს დამავიწყდება მისი სიბრძნე, გონებამახვილობა, იუმორის გრძნობა და ის განსაკუთრებული სიყვარული ადამიანების მიმართ, რომელიც მას ახასიათებდა. მოხარული ვარ, რომ ვხედავ დღეს აქ, კლინიკაში, ადამიანებს, რომლებმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს და მინდა, ქედი მოვიხარო თქვენ წინაშე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო კერძო სექტორთან ერთად ანვითარებს დღეს ჯანდაცვის სფეროს, ვინაიდან ეს არის ის პარტნიორობა, რომელმაც მოგვცა ის მოდელი, სადაც ყველა ადამიანს აქვს გარანტირებული ჯანდაცვა სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომ, კიდევ ერთხელ გილოცავთ, ეს არის „ევრობანკთან“ ერთად განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტი, 15 მილიონი ლარის ინვესტიცია არის მნიშვნელოვანი ინვესტიცია და კარგია, რომ აქ გვაქვს თანამედროვე აპარატურა“, — აღნიშნა პრემიერმა.

* * *

ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკასთან, რომელიც გუშინ პრემიერმა გახსნა, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და მათთვის შენობის უმოკლეს ვადაში აშენებას და სამუშაო პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს.

ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, შოთა გოგიჩაიშვილის განმარტებით, სახელმწიფომ დაპირება უნდა შეასრულოს და შენობა ააშენოს, სადაც პაციენტის ღირსეულად მიღების და კვალიფიციურად მომსახურების საშუალება იქნება.

„ჩვენ დიდი ხანია, ამ საკითხებზე ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაცია გვაქვს, თუმცა ამ პროცესის ადგილიდან დაძვრა ვერ ხერხდება. ბოლო 8 თვე მხოლოდ იმას დასჭირდა, რომ კომპანია შეერჩიათ, რომელიც პროექტს 6 თვის მანძილზე გააკეთებდა. ამის შემდეგ მშენებლობის ეტაპი უნდა დაიწყოს, რასაც მინიმუმ 3-4 წელი დასჭირდება. მართალია, ტერიტორია გამოყოფილია, საპროექტო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მოძიება და გამარჯვებულის გამოვლენა გრძელდება, მაგრამ ფაქტის წინაშე ვდგავართ, რომ ის შენობები, რომელშიც ცენტრია განთავსებული, ნგრევის პირასაა და ახალი ჯერ არც დაწყებულა“, — განაცხადა შოთა გოგიჩაიშვილმა.

მთავრობა ახალ საგამოძიებო ორგანოს პროკურატურაში ქმნის

იუსტიციის მინისტრის მოადგილის სანდრო ბარამიძის განცხადებით, ახალი დეპარტამენტი მთავარ პროკურატურაში გამოიძიებს ისეთ საქმეებს, რომლებიც წამებას, არასათანადო მოპყრობას და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას უკავშირდება. **„ამ დეპარტამენტს ექნება მეტი დამოუკიდებლობა, ვიდრე სხვა რომელიმე დეპარტამენტს პროკურატურაში. კონცენტრაცია მოხდება წამების და არასათანადო მოპყრობის იმ ფაქტებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ. იქ არის ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მუხლებიც“,** — განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, ორი წლის პროკურატურის კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომელიც ამ უწყების დამოუკიდებლობის ხარისხს განსაზღვრავს. შეიქმნა საპროკურორო საბჭო, ახალი კონსტიტუციის პირობებში კი დაგეგმილია დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გაზრდა. **„ნავარაუდევია, რომ პროკურატურა გავა აღმასრულებელი სისტემიდან“,** — განაცხადა სანდრო ბარამიძემ.

დოკუმენტი, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, უკვე გადაეგზავნა წამების წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოს. სანდრო ბარამიძის თქმით, დისკუსია ამ თემაზე გახსნილია და შესაძლოა, გარკვეული კორექტივები კიდევ შევიდეს.

სამგორში წყალარინების ახალი სისტემა მოეწყობა

თბილისის მერი დავით ნარმანია მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილთან, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროს გივი კუბლაშვილთან და სამგორის რაიონის გამგებელ გიორგი ბაგრატიონთან ერთად, კაიროს დასახლებაში მიმდინარე წყალარინების სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო. სამუშაოებს თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ახორციელებს. დაგეგმილია 9 კილომეტრზე ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომლითაც 600-ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს. საპროექტო ქსელზე რკინა-ბეტონის 308 ჭა გაკეთდება.

„აღნიშნულ დასახლებას არასდროს ჰქონია მოწესრიგებული საკანალიზაციო ქსელი. ათეულობით წლების განმავლობაში აწუხებდათ ეს პრობლემა. ჩვენ მათ დავპირდით ამის მოგვარებას და დავიწყეთ რეალურად პროექტის განხორციელება. ბიუჯეტიდან საკმაოდ მოცულობითი რესურსი იხარჯება იმისათვის, რომ აღნიშნულ უბანს ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაუწყდეს და, შესაბამისად, მოსახლეობა იცხოვრებს უფრო მოწესრიგებულ და კომფორტულ გარემოში“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. მერიის ბიუჯეტიდან სამუშაოებისთვის 3 333 333 ლარია გამოყოფილი.

პატრიარქს ვანო კობაიძე დაიცავს

კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის სამსახურს ვანო კობაიძე უხელმძღვანელებს. ინფორმაციას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე ადასტურებს. ჩუბინიძის განცხადებით, კობაიძეს აღნიშნულ თანამდებობაზე დღეს დანიშნავენ.

უსინათლოთათვის ლარის ამომცნობი პირველი მობილური აპლიკაცია შეიქმნა

ტექნოპარკში „პროგრამირების ინკლუზიური კურსის დახურვის ცერემონია და უსინათლოთათვის შექმნილი ლარის კუპიურის ამომცნობი აპლიკაციის „Lari Reader“-ის პრეზენტაცია გაიმართა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამა გათვლილი იყო შშმ პირებზე და მიზნად ისახავდა მობილური აპლიკაციების დეველოპმენტის შესწავლას ნულიდან. საპილოტედ ინკლუზიურ კლასში 10 შშმ პირი შეირჩა. კურსი შვიდმა მათგანმა დაასრულა. კურსის წარმატებულმა მონაწილეებმა ტრენერების დახმარებით ლარის ამომცნობი აპლიკაცია შექმნეს.

ვაშინგტონში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველო-აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე აღინიშნება

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და საქართველო-აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე მასშტაბურად აღინიშნება. 6 ივნისიდან ერთი კვირის განმავლობაში ვაშინგტონში საზეიმო ღონისძიებებია დაგეგმილი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე.

6 ივნისს საქართველოს საელჩო უმასპინძლებს დამოუკიდებლობის დღისა და საქართველო-აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას. მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართავენ საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე და ამერიკის მთავრობისა და კონგრესის წარმომადგენლები. ღონისძიებას დაესწრებიან აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო და ანალიტიკური ორგანიზაციების წევრები, ასევე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, თავდაცვის, ბიზნესისა და მედიის სფეროში საელჩოს პარტნიორები.

8 ივნისს გაიხსნება აშშ-საქართველოს ურთიერთობების 25 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, კონგრესმენი ტედ პო (ტეხასი), აშშ-ს ვიცე პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ანდრეა თომპსონი, მაკკეინის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი კურტ ვოლკერი, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილე ირაკლი მატკავა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ბრიჯიტ ბრინკსი და სხვები.

საზეიმო კვირეულის ფარგლებში საქართველოს საელჩო, ამერიკული ორგანიზაცია Embassy Experiences / Things to Do in DC პარტნიორობით ასევე უმასპინძლებს ქართული მოდის საღამოს, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ქართველი თანამედროვე დიზაინერების სამოსი და აქსესუარები.

10 ივნისს სმითსონიანის მუზეუმში გაიმართება კონფერენცია ღვინის ცივილიზაციის საწყისებზე: „Exploring the Origins of Wine Civilization“, რომელიც საქართველოს საელჩოს მიღებითა და ქართული ღვინის პრეზენტაციით გაიხსნება.

კვირის განმავლობაში გამართულ ღონისძიებებს სპეციალურად ქართული დიასპორისათვის დაგეგმილი ღონისძიება დაასრულებს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საქართველოს საელჩო დიასპორის წარმომადგენლებს ოჯახებთან ერთად სადღესასწაულო მიღებაზე უმასპინძლებს.

დონალდ რეიფილდი: საკაშვილის სინდისზე ისეთი და იმდენი დანაშაულია, მათზე მომავალი ისტორიკოსები იმსჯელებენ

აშშ-ის რადიო „თავისუფალი ევროპა//თავისუფლების“ რუსული სამსახურის – რადიო „სვობოდა//ეხო კავკაზას“ კორესპონდენტი ვადიმ დუბნოვი ცნობილ ბრიტანელ ისტორიკოსს და ლიტერატურამცოდნეს, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორს დონალდ რეიფილდს ესაუბრა. იგი ავტორია წიგნისა „საქართველო. იმპერიების გზაჯვარედინი. სამიათასწლოვანი ისტორია“. დონალდ რეიფილდმა ეს წიგნი რუსულ ენაზე გამოსცა და მისი პრეზენტაციაც მოსკოვში ამ რამდენიმე კვირის წინათ გაიმართა. ამასთან დაკავშირებით ბრიტანელი ისტორიკოსის ინტერვიუები რამდენიმე რუსულ გაზეთშიც გამოქვეყნდა, რომლებშიც მან ფართოდ ისაუბრა საქართველოს შესახებ, თან აღნიშნა, რომ მისი თვალსაზრისი ხშირად ქართველებს არ მოსწონთ. ამჯერადაც „რადიო სვობოდა//ეხო კავკაზას“ ჟურნალისტთან ინტერვიუში დონალდ რეიფილდი ვრცლად, მაგრამ იმავდროულად ხშირად კრიტიკულად ლაპარაკობს საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ.



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს პუბლიკაციიდან:

– თქვენ საქართველოში 1970-იან წლებში იყავით ჩასული, შეხვდით და გაიცანით ზვიად გამსახურდიაც. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– იგი ძალიან ნერვიული ადამიანი ჩანდა, თუმცა ეს გასაგებიცაა – ზვიად გამსახურდიას უთვალთვალებდნენ, მოწამვლის მცდელობაც იყო... ძალიან უცნაური რელიგიური ინტერესები ჰქონდა, უყვარდა ინგლისური პოეზია, განსაკუთრებით – ქრისტიანული. მას ძლიერი მიზანსწრაფვა და იდეები ჰქონდა. იმ დროს ზვიად გამსახურდია ჯერ კიდევ არ იყო ფანატიკოსი, იგი დიდი მამის ტიპურ მემკვიდრეს წარმოადგენდა. მამამისი კონსტანტინე გამსახურდია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხელისუფლება მას დიდ პატივს სცემდა, ამიტომ ზვიად გამსახურდიას თავდაპირველად არ აპატიმრებდნენ. შეიძლება მას ტიპური ნევროზიც ჭირდა – დიდი მწერლის შვილს თავი თვითონაც ძალიან ხშირად დიდი ჰგონია. სწორედ იქიდან დაიწყო რაღაც მესიანისტური იდეები, თუმცა მაშინ ამგვარი მომენტები მაინცდამაინც აშკარად არ ჩანდა. სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი გახდა. გვინდოდა მისი წაყვანა ინგლისში, ქვეყნიდან მოშორება, მაგრამ ვერ შევძელით...

– საქართველო პოსტსაბჭოთა ადამიანისათვის სტერეოტიპების კრებულია: ღვინო, კინო, სტუმარ-თმოყვარეობა, სტალინი, ფეხბურთი... როგორ იგრძენით და აღიქვით ეს სტერეოტიპები?

– თუ თქვენ საქართველოში სამ თვეს გაატარებთ და ქართულ ენას კარგად შეისწავლით, მაშინ მიხვდებით, რომ ეს ასეთი მითები მხოლოდ ერთგვარი კამუფლაჟია. საქართველოში მთავარი ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებია. სწორედ ამიტომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სოციალიზმს, მეტ-ნაკლებად იცავდნენ და არ ღალატობდნენ ერთმანეთს, როგორც ეს, ვთქვათ, რუსეთში იყო. ქართველებს ერთმანეთისადმი სოლიდარობა სულში და გულში აქვთ გამჯდარი. მათი სტუმარ-თმოყვარეობა გამიზნულია უცხოელის, უცხო იმპერიების განიარაღებისაკენ: კარგ პატივს სცემ, აჭმევ-ასმევ, დაათრობ, გააუვნებლებ და ზიანს აღარ მოგაყენებს...

– თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორია სულ ევროპისაკენ გზების ძიებაა – ჯერ ელინისტური, შემდეგ კი ბიზანტიური, რუსული, ზოგჯერ გერმანულიც...

– დიახ, ასეა და ერთიდაიგივე შეცდომა მეორდება, რომელიც რომაელი იმპერატორების დროიდან იწყება. საქართველო ევროპას დახმარებას სთხოვს, 20 ათასი კარგად შეიარაღებული მებრძოლით მომეშველე, მეტი არ მინდა, დანარჩენს მე მივხედავო, ევროპა რაღაცას პირდება, შემდეგ კი მისიონერებს უგზავნის... ამის მიუხედავად, ქართველებს ევროპისაკენ ლტოლვა არ შეუწყვეტიათ. შესაძლოა, დღეს ისინი ევროპასთან ისე ახლოს არიან, როგორც არასდროს.

– რას ფიქრობთ, რატომ იყო ქართველთა ევროპული სწრაფვა წარუმატებელი – რაღაცას არასწორად აკეთებდნენ, „ვინმემ დაწყევლა“ თუ ეს ობიექტური რეალობა იყო, რომელსაც უნდა შერიგებოდნენ?

– მაშ რა ექნათ ქართველებს? მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ: უმჯობესი იყო ლტოლვა დასავლეთისაკენ, ვიდრე თურქეთ-სპარსეთის და გინდაც რუსეთ-საბჭოთა კავშირის ტირანიის მოთმენა იმ პირობებშიც კი, როცა თვით დასავლეთი საქართველოსადმი გულგრილობას ამჟღავნებდა. ბოლო-ბოლო, ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს და იცოდნენ, რასაც ნიშნავდა – რომ მათ ბიზანტია და სხვა დასავლური ქრისტიანული სახელმწიფოები დაიცავდნენ. (...)

იხ. 4 გვ.

ორი „უკანასკნელი მოჰიკანი“... სად არიან დღეს უკრაინის ქართველი რეფორმატორები?

უკრაინულ გამოცემა „Одесская жизнь“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოს ექს-პრეზიდენტის, უკრაინის ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ყოფილი გუნდის წევრების ბედ-იღბალი მას შემდეგ, რაც ქართველი პოლიტიკოსი გუბერნატორობიდან გადადგა.

პუბლიკაციაში პასუხი აქვს გაცემული უკრაინის მოქალაქის, გაზეთის მკითხველის სვეტლანა ანდრიუშენკოს შეკითხვას – სად არიან დღეს ის რეფორმატორები, რომლებზე დიდ იმედებს ვამყარებდით, რით არიან დაკავებულებიო.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სერგეი იშჩენკოს ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას:

როგორც მასალაშია აღნიშნული, მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრთა უმრავლესობა, თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, საჯარო და ცნობად სახეებად რჩებიან. მათგან ერთადერთი გამონაკლისია **უკრაინის ეროვნული პოლიციის ოდესის ოლქის სამმართველოს ყოფილი უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე,** რომლის ბედი გაურკვეველია – გაზეთის რედაქციამ მისი საქმიანობის სფერო ვერ დაადგინა, „გიორგი გურამოვიჩის ფეისბუქ-გვერდიც უკვე ნახევარი წელია, არ განახლებულა“. სამაგიეროდ, „რეფორმატორთა საამქროს“ სხვა წარმომადგენლები აქტიურობენ და საზოგადოების ყურადღებას იპყრობენ.

დავიწყოთ **მიხო სააკაშვილისგან:** ოდესის (და საერთოდ, უკრაინის) პოლიტიკის მთავარი „ლეგიონერი“ ხალხს საკუთარ თავს არ ავიწყებს: ზოგს ეგონა, რომ იგი უკრაინიდან სადმე წავიდოდა, მაგრამ შეცდნენ – საქართველოს ექს-პრეზიდენტი უკრაინის პოლიტიკაში აქტიურ საქმიანობას აგრძელებს. მკითხველს შევახსენებთ: მიხეილ ნიკოლოზოვიჩმა ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტიდან წასვლისას **„კარები გაიჯახუნა“ და მისთვის დამახასიათებელი ემოციური მანერით საკუთარ წარუმატებლობაში კიევის ხელისუფლება დაადანაშაულა – ხელს მიშლიდნენ და რეფორმებს ამუხრუჭებდნენ, მარტო ჩემთან კი არა, მთელ ქვეყანაშიო. გასაგებია, რომ ამ სიტყვების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს მხოლოდ ერთი გზა დარჩა - ოპოზიციისაკენ. თუმცა მას პარტიის რეგისტრაციაში პრობლემები შეექმნა... ჩვეული პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად მიხეილ ნიკოლოზოვიჩმა თავისი თავი ახალ ამპლუაშიც გამოსცადა: 2017 წლის გაზაფხულიდან მან ტელეწამყვანობაც დაიწყო – ტელეარხ ZIK-ის თოქ-შოუ „სხვა უკრაინაში“.**

მარია გაიდარი, ოდესის ოლქის გუბერნატორის ექს-მოადგილე. თანამდებობაზე ყოფნისას მას რადიკალ-ნაციონალისტები აკრიტიკებდნენ, **„უკრაინის პატრიოტი არ ხარ, ქვეყნის ინტერესებს არ იცავო“.** გადადგომის მიუხედავად, ცნობილი საბჭოთა მწერლის არკადი გაიდარის შვილიშვილი მაინც ოდესაში დარჩა და საქმიანობა განაგრძო – იგი ოდესის საოლქო საბჭოს დეპუტატია, პლუს უკრაინის პრეზიდენტის შტატგარეშე მრჩეველიც.

ალექსანდრე ბოროვიკი, ოდესის ოლქის გუბერნატორის ექს-მოადგილე. იგი ამჟამად მიუნხენში ცხოვრობს და ერთ-ერთი იურიდიული კომპანიის კონსულტანტია. საშა არ ივიწყებს ოდესაში გატარებულ დროს და ხანდახან ფეისბუქში თავის აზრს აქვეყნებს ქალაქის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების შესახებ. გასული თვის დასაწყისში პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ალექსანდრე ბოროვიკს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა, რაზედაც მან ასეთი რეაგირება მოახდინა: **„რას ვიზამთ, ასე ტოტალიტარული ქვეყნის ხელისუფლება იქცევაო“.**

დავით საყვარელიძე, ოდესის ოლქის ექს-პროკურორი. დავით გიორგევიჩი უკრაინაში ცხოვრებას აგრძელებს და პოლიტიკური საქმიანობით არის დაკავებული. იგი ხშირად გამოდის საჯარო განცხადებებით, აკრიტიკებს ქვეყნის ხელისუფლებას, ესწრება ხმაურიანი საქმეების სასამართლო პროცესებს და სტუდენტებს ხვდება. **ამჟამად დავით საყვარელიძე მიხეილ სააკაშვილის პარტია „ახალი ძალების მოძრაობის“ ოდესურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.**

ქართველი რეფორმატორები, რომლებიც უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის კვალდაკვალ ჩამოვიდნენ, ოდესის გარდა კიევშიც მუშაობდნენ. ბევრ მათგანს მთავრობაში მაღალი პოსტები ჰქონდა დაკავებული, თუმცა თანამდებობებზე რამდენიმემ „ვერ გაქაჩა“. მაგალითად, **შინაგან საქმეთა მინისტრის არსენ ავაქოვის პირველმა მოადგილემ ეკა ზღულაძემ, რომელმაც ერთი წელი იმუშავა, შემდეგ კი გადადგა. დღეს ეკა პარიზში ცხოვრობს ვაჟთან ერთად. მან შეინარჩუნა უკრაინის მოქალაქეობა და შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩევლობას საფრანგეთიდან ასრულებს.**

რაც შეეხება ეროვნული პოლიციის ყოფილ უფროსს **ხატია დეკანოიძეს,** მან 2017 წლის აპრილში საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინა. ყოველ შემთხვევაში, ქართულმა ტელევიზიამ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა. **ხატია დეკანოიძე** შეუერთდა მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ პარტიას – **„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. იგი ზოგჯერ უკრაინაშიც ჩამოდის ხოლმე და საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რეფორმებისა და დემოკრატიის ცენტრის“ მუშაობაშიც მონაწილეობს.**

უკრაინის ჯანდაცვის ექს-მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი გადადგომის შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა. დღეს იგი უკრაინაში ცხოვრობს, მეწარმეობა დაიწყო, დროდადრო ბიზნეს-სკოლების ტრენინგშიც მონაწილეობს.

უკრაინის მთავრობაში მაღალ თანამდებობზე მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელებიდან ამჟამად მხოლოდ ორი ჩინოვნიკი რჩება: „უკანასკნელი მოჰიკანები“ აღმოჩნდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გია გეწაძე და გიზო უგლავა, ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მოადგილე, - აღნიშნულია სტატიაში.

დონალდ რეიფილდი: სააკაშვილის სინდისზე ისეთი და იმდენი დანაშაულია, მათზე მომავალი ისტორიკოსები იმსჯელებენ

(მესამე გვერდიდან)

ქართველების გეოგრაფიულ არჩევანს რაც არ უნდა ვუწოდოთ, ცხადია, რომ მათი მთავარი მიზანი თავის გადარჩენა იყო. როცა ფიქრობ, თუ რამდენი სახელმწიფო გაქრა სამხრეთ კავკასიაში... სად არიან ამჟამად კავკასიელი ალბანელები (კავკასიის ალბანეთი აღარ არსებობს)? სომხეთი ხომ დღეს ნახევრად მარიონეტული სახელმწიფოა, რუსეთის კონტროლქვეშ. ჩემი აზრით, მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში - ისეთში, სადაც ასე თუ ისე მაინც არის სამართლებრივი წესრიგი და ადამიანების უფლებები დაცულია.

— თქვენს კონცეფციაში რუსეთი საკმაოდ დუალისტურადაა ნაჩვენები. რუსეთი თითქოსდა ისეთი ძალაა, რომელსაც მუდამ ცუდის გაკეთება სურს, თუმცა სიკეთე გამოსდის. არის ბნელეთის მოციქული მურავიოვი, მაგრამ არის ლიბერალი ვორონცოვიც. ამიტომაცაა რუსეთი საქართველოსთვის ისეთი მაცდუნებელი, რომ მისგან თავს ვეღარ აღწევს?

— რუსეთიც ისევე მოქმედებდა, როგორც, ვთქვათ, საფრანგეთი ჩრდილოეთ აფრიკაში და ბრიტანეთი — ინდოეთში. ისინი მჩაგვრელ-კოლონიზატორებიც იყვნენ და კეთილი საქმეების გამკეთებლებიც. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბრიტანელები აცნობიერებენ — შესაძლოა, ინდუსებს უფრო მეტი ზიანი მივაყენეთ, ვიდრე სიკეთე მივეცითო. რუსეთს კი დღემდე სჯერა, რომ ის წესრიგის წყაროა, სტაბილიზაციის მომტანი, ყოველგვარი აზიურისაგან გადამრჩენი. ჩვენ ვიწყებთ ინდოელებისადმი ბოდიშის მოხდას, ფრანგებმა ეს უკვე გაკეთეს ალჟირელების წინაშე, რუსეთი კი ამაზე ჯერ არ ფიქრობს. იმპერიულ ამბიციებზე უარის თქმა — ეს ხალხის და სახელმწიფოს გამოჯანმრთელებას ემსახურება. ვფიქრობ, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველომ იმიტომ შეინარჩუნა დამოუკიდებლობის რაღაც დონე, რომ ყველა ქართველს კარგად ესმოდა რუსული, რუსებს კი ქართული არ ესმოდათ.

— თქვენს წიგნში ჯერ საქართველოს მართვის რუსულ-იმპერიულ სისტემას აღწერთ, შემდეგ კი საბჭოურ სტილს. თქვენი აზრით, მართვის კოლონიური სისტემა — ელიტის მოსყიდვა და ხანდახან მის კარგად „გაფერთხვა“ უცვლელი რჩებოდა?

— რუსული მართვის სისტემა მთლად კოლონიური არ ყოფილა — საქართველოში რუსები შედარებით ცოტა იყო ჩასახლებული. ასე რომ, საქართველომ ეთნიკური მთლიანობა ასე თუ ისე მაინც შეინარჩუნა. განსხვავება მეფის რუსეთისა და საბჭოური სტილის მართვას შორის, ცხადია, არის: მეფის დროს მთავარმმართებლები რუსები იყვნენ - მიხეილ ვორონცოვი, ალექსანდრ ბარიატინსკი... ძალიან ტალანტიური მმართველები იყვნენ. საბჭოთა ეპოქაში კი საქართველოს ადგილობრივი ქართველები მართავდნენ — განსაკუთრებით ლავრენტი ბერია, შემდეგ კი ვასილ მჟავანაძე და სხვები. ალბათ, ამიტომაც მართვის მათი წესი უფრო მოქნილი და მოსკოვისაგან დამოუკიდებელი იყო. რასაკვირველია, იმავდროულად მოსკოვი მათგან მორჩილებას მაინც მოითხოვდა.

— თქვენი კვლევიდან გამომდინარე, ქართულ-აფხაზური ათასწლოვანი ურთიერთობის ფონზე დღევანდელი კოლიზეა რაღაც გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს...

— მე მგონია, რომ ეს კონფლიქტი 1863 წელს დაიწყო, როცა ალექსანდრე მეორემ შავი ზღვის ნაპირების გაწმენდა დაიწყო აფხაზებისგან, ჩერქეზებისგან, უბიხებისგან... მან აფხაზების დიდი ნაწილი თურქეთში გაასახლა. ეს დიდი ტრაგედიაა. ათასი წლები აფხაზები და ქართველები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ, ერთად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მაინც ერთ სახელმწიფოში. ძალიან დიდ ხანს, კონფლიქტების გარეშე, მაგრამ ის, რომ აფხაზებმა თავიანთი მიწები დაკარგეს, ეს მათ მაინც ვერ უპატიებიათ ქართველებისთვის. საბჭოთა პერიოდში ნესტორ ლაკობასა და ლავრენტი ბერიას დაპირისპირებამაც ცეცხლზე ნავთი დაასხა. ასე

რომ, ბოლო ოცი თუ ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ეს, შეიძლება ითქვას, გარდაუვალიც კი იყო. ცხადია, როცა კონფლიქტში რუსეთი ჩაერია, მისი მოგვარება უკვე ძალიან გართულდა.

— თქვენს წიგნში შეიმჩნევა, რომ საქართველოს თავის უახლოეს ისტორიაში პროვოკაციაზე წამოგების არც ერთი შესაძლებლობა არ გამოუტოვებია: ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს აფხაზეთი, მიხეილ სააკაშვილის დროს — სამხრეთ ოსეთი... საქართველო რუსეთის მიერ დაგებულ ყველა ხაფანგში გაება, ყველა პროვოკაციაზე წამოეგო...

— კი, ასეა. ქართველები თუ რაიმეში გასაკრიტიკებლები არიან, ალბათ იმაშიც, რომ ისინი ძალიან სწრაფად რეაგირებენ ხოლმე. საქართველო თითქოს ბენზინის (დენთის) კასრია, ასანთი რომ გადააგდო, უცებ აფეთქდება. ქართველებს უჭირთ თავშეკავება, სიტუაციის გაცნობიერება.. თუ ვიტყვით, „ყველა ხალხს თავისი ნაკლი აქვსო“, მაშინ ქართველებისთვის ესაა მოუთმენელი და ფეთქებადი ხასიათი. ყველა პროვოკაციაზე ისინი ელვისებურად რეაგირებენ.

— გადავიდეთ მიხეილ სააკაშვილზე... თქვენ მას საკმაოდ ნეგატიურად ახასიათებთ და შავ ფერს არ იშურებთ... განა სააკაშვილი თქვენთვის ასეთი უიმედო და უარყოფითი ადამიანია?

— იგი ძალიან საინტერესო პიროვნებაა და, როგორც ვიცი, ჯერაც არ გამქრალა ისტორიის სცენიდან. მიხეილ სააკაშვილს ახასიათებს გენიალურობა, თავისუფალი აზროვნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ბნელი მხარეებიც აქვს. იგი ერთდროულად იყო დემოკრატიც და ტირანიც. და, ჩემი აზრით, ისევ ასეთად რჩება. ჯერჯერობით მიხეილ სააკაშვილზე ყველაფერი ნათქვამი არ არის. გასარკვევია, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მას თავისი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიკვდილის გამო (ამბობენ, რომ რაღაც შეთანხმება არსებობს, რომ ამ ფაქტზე მეტად არ ილაპარაკონ და მას პასუხისმგებლობა ააცილონ). გამოძიება შეწყდა, თუმცა აშკარაა, რომ ჟვანიას სიკვდილის ფაქტი ძალიან ბნელი საქმეა. საერთოდ კი, ცხადია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში პოლიტიკოსები საქმეს თეთრი ხელთათმანებით არ აკეთებენ, ხშირადაა რაღაც საიდუმლოება, კულისებს მიღმა მოქმედება, რომელთა გახმაურება არ სურთ.

— უკვე შეიძლება იმის ვარაუდი, თუ როგორი პლუსებითა და მინუსებით შევა მიხეილ სააკაშვილი ისტორიაში?

— ჯერ ნაადრევია, თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ მან უფრო მეტი დადებითი გააკეთა, ვიდრე უარყოფითი. როცა მან (მისმა პარტიამ) არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და ხელისუფლებიდან პროტესტების გარეშე წავიდა, ეს ყველაზე დადებითია.

— იცით, თქვენმა ასეთმა პასუხმა გამაკვირვა. თქვენივე წიგნიდან ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილს არაფერს პატიობთ და მას არანაირ შანსებს არ უტოვებთ...

— არა, მე ვიტყოდი, რომ ბევრი რამ შეიძლება ეპატიოს, თუმცა მის სინდისზე ისეთი და იმდენი დანაშაულია, რაზეც მომავალი ისტორიკოსები მოჰყვებიან. ზურაბ ჟვანიას სიკვდილის თაობაზე მე დოკუმენტები არ მაქვს - მესმის მხოლოდ ჭორები და აშკარაა, რომ ოფიციალური ვერსია მის გარდაცვალებაზე, უბრალოდ, სიმართლე არაა — ისევე როგორც, ვთქვათ, რაულ ვალენბერგის სიკვდილი... ასეთი ამბის დეტალები მხოლოდ 20-30 წლის შემდეგ ხდება ცნობილი.

— რატომ უწოდებთ „ვარდების რევოლუციას“ თეატრალიზებულ მოქმედებას? განა მაშინ ედუარდ შევარდნაძე მართლაც ხელისუფლებისაგან იყო დაღლილი და განა მოსკოვი მართლაც დაეთანხმა მიხეილ სააკაშვილის მოსვლას? მოსკოვმა ხომ მასზე ყველაფერი იცოდა...

— „ვარდების რევოლუცია“, საერთოდ, შოუ იყო. ყველამ, ვინც კი კულისებს მიღმა იყო, ზუსტად იცოდა, რაც მოხდებოდა. ეს იყო სერბეთის მოვლენების გამეორება, ქართველებმა მათგან ისწავლეს. კი, სტიქიურობის მომენტებიც იყო, მაგრამ ამერიკელებმა, რუსებმა და ახალგაზრდა ქართველმა მინისტრებმა უკვე იცოდნენ, რაც მოხდებოდა.

— რატომ იყვნენ რუსები დაინტერესებული?

— ვფიქრობ, ედუარდ შევარდნაძე ძალიან სძულდათ ყოფილ საბჭოთა წრეებში საბჭოთა კავშირის დაშლის გამო. თვით ვლადიმერ პუტინის მომხრეებსაც კი სურდათ მისი თავიდან მოშორება. მათ ეჩვენებოდათ, რომ მიხეილ სააკაშვილი მეორე ზვიად გამსახურდია იქნებოდა, ანუ ისეთივე უთავბოლო. მოსკოვს ეგონა, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველო ქაოსური გახდებოდა და შესაბამისად, რუსეთისთვის უვნებელი. მაგრამ რუსეთი შეცდა: მიხეილ სააკაშვილი უფრო ჭკვიანი გამოდგა, ვიდრე მოსკოვი ფიქრობდა. პირველი ორი-სამი წელი მიხეილ სააკაშვილს ვლადიმერ პუტინთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სხვათა შორის, სააკაშვილს მაშინ ძალიან კარგი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავდა — სალომე ზურაბიშვილი. საწყენია, რომ მათი ურთიერთობა შემდეგ გაფუჭდა.

ქართველი მფრინავის შესახებ გავრცელებული ვიდეო ძველია

ამ დრომდე უცნობია, თუ რა ბედი ეწია კონგოელი ამბოხებულების ტყვეობაში ჩავარდნილ ქართველ მფრინავს. საზოგადოებრივის ინფორმაციით, სამხრეთ აფრიკაში საქართველოს ელჩი ბექა დვალი აცხადებს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ყველა შესაძლო დიპლომატიურ რესურსს იყენებს, მათ შორის უწყება კომუნიკაციაშია გაეროსთან, „წითელ ჯვართან“ და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში 24 მაისს გამართულ ბრიფინგზე ითქვა, რომ ქართველი მფრინავი დიდი ალბათობით დაიღუპა, ელჩი განმარტავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია იმ დაჯგუფებისგან მიიღეს, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო სოსო ოსურაული.

ბექა დვალი აცხადებს, რომ სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეომასალები ძველია და ის რამდენიმე თვის წინთ არის ჩაწერილი. ქართველი მფრივანის ვიდეოგზავნილი ტელეკომპანია „იბერიამ“ გაავრცელა. როგორც ოსურაული მიმართვაში აღნიშნავს, მას ადამიანების დახოცვაში ადანაშაულებენ, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება. **„დედა არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, ძალიან მიყვარხართ, გემშვიდობებით, აბა კარგად“** — ამ სიტყვებით მიმართავს კონგოში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მფრინავი სოსო ოსურაული ოჯახის წევრებს. **„რომ ამბობენ ჩემზე, ვიღაცები ჩახოცაო მასე არ არის, არ დაიჯეროთ, გთხოვთ, არ დაიჯეროთ, მე არავინ ჩამიხოცავს, დედა არ ინერვიულო, კარგი ბალღები დაზარდეთ, კარგად გაზარდეთ ჩემი შვილები, ძალიან მიყვარხართ“,** — ამბობს სოსო ოსურაული მიმართვაში.

მფრინავი სოსო ოსურაული საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან წასვლის შემდეგ კონგოს სამხედრო-საჰაერო ძალებში მსახურობდა. შვეულმფრენი, რომელსაც საქართველოს მოქალაქე მართავდა, ამბოხებულმა ძალებმა 27 იანვარს ჩამოაგდეს და რამდენიმე მძევალი აიყვანეს.

რას გვიქადის მახინჯი საკონსტიტუციო მოდელი?!

რამდენიმე დღის წინათ, სანკტ-პეტერბურგში გაიმართა ტრადიციული „ეკონომიკური ფორუმი“, რომელსაც ასევე ტრადიციულად დაესწრო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.

ამ ღონისძიებას საინვესტიციო დატვირთვა ნაკლებად აქვს და ვერც ექნება — დასავლური სანქციების გათვალისწინებით. „პეტერბურგის ფორუმი“ უფრო პოლიტიკური აქციაა, რათა დაადასტუროს, რომ უამრავი გერმანელი, ბრიტანელი, ფრანგი, ამერიკელი, იტალიელი ბიზნესმენი თუ პოლიტიკოსი ჩადის რუსეთში, ზის დარბაზში, ტაშს უკრავს პუტინს და შესვენებისას ათვალიერებს გამოფენებს; მაგალითად, ამჯერად „დაათვალიერებინეს“ იმ სარკინიგზო-საავტომობილო ხიდის მაკეტი, რომელმაც რუსეთი პირდაპირ უნდა დააკავშიროს ანექსირებულ ყირიმს.

იდგნენ მსხვილი დასავლური ფირმების პრეზიდენტები და ინტერესით აკვირდებოდნენ ამ ხიდს, რომელიც სინამდვილეში, იმპერიალიზმის სიმბოლოა. მერე ეს ფოტოები ყველა რუსულმა საagენტომ გაავრცელა, ტელევიზიებმაც უჩვენეს და.... მარტო ამად „ღირდა“ დაახლოებთ შვიდი მილიონი დოლარის დახარჯვა ფორუმის ორგანიზებაზე.

თუმცა, „პიტერის სასახლეში“ ბევრი სხვა ანალოგიური ხასიათის სიუჟეტიც იყო. მაგალითად, მოლდოვას პრეზიდენტი იგორ დოდონი აღმოჩნდა ერთადერთი პოსტსაბჭოთა ლიდერი, ვინც იმპერიულ დედაქალაქში ჩავიდა და ღონისძიებას დაესწრო. თან არათუ დაესწრო, არამედ საოცარი განცხადებაც გააკეთა: **„ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი შეეშალოს, ის ერთადერთი ზესახელმწიფო აღარ არის და სხვა დიდ სახელმწიფოთა, ანუ „ალტერნატიულ პოლუსთა“ ინტერესები გაითვალისწინოსო“.**

ანუ, წმინდად „მოსკოვური“ ნარატივი: „მრავალპოლუსურობის“, „ამერიკული იმპერიალიზმის“, „დასავლური ეგოიზმის“ და „ვაშინგტონის ექსპანსიონიზმის“ თაობაზე.

სანკტ-პეტერბურგში გამგზავრებამდე, იგორ დოდონმა კიდევ უფრო გამაოგნებელი განცხადება გააკეთა კიშინიოვიდან რუს დიპლომატთა გაძევების თაობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ მოლდოვურმა სპეცსამსახურებმა (რასაკვირველია, დასავლელი კოლეგების მხარდაჭერით) „ფაქტზე“ გამოიჭირეს რუსული რეზიდენტურა, რომელიც, ტრადიციულად, რუსეთის საელჩოშია შეფარებული, ხოლო დპს-ს აგენტებს დიპლომატიური პასპორტები აქვთ.

რეზიდენტურის ოფიცრები მოლდოვიდან გააძევეს და რას აცხადებს ამ დროს მოლდოვას პრეზიდენტი? თვალებს ძნელად დაუჯერებს ადამიანი: „ეს პროვოკაციაა.... აღშფოთებული ვარ მოლდოვური დიპლომატიის ამ ნაბიჯით, რასაც კატეგორიულად ვგმობ... აღმაშფოთებელი ჟესტია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის — რუსეთის ფედერაციის მიმართ.... აშკარად ოკეანის გაღმიდან იყო შეკვეთა...“

დაუჯერებელია ხომ? მაგრამ ფაქტია — ამას ამბობს არა რუსეთის ელჩი მოლდოვაში, არა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი, არამედ მოლდოვას პრეზიდენტი, რითაც პირდაპირ სახეში აფურთხებს საკუთარი ქვეყნის დიპლომატიას, სპეც-სამსახურებს, პარლამენტს და მთავრობას.

* * *

თითქოსდა, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ სამარცხვინო ისტორიას საქართველოში მიმდინარე კონსტიტუციურ პროცესთან? ნუ ავჩქარდებით და ნუ ვიტყვით: „არავითარი“. დავაკვირდეთ საგულისხმო მომენტს: მოლდოვაში დღეს ზუსტად ისეთი სახელისუფლებო სისტემაა, როგორიც იქმნება საქართველოში „ახალი კონსტიტუციით“ და ამგვარი სისტემა მინიმუმ 2023 წლამდე იმოქმედებს.

ანუ, მოლდოვას პრეზიდენტი, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს და ყოველმხრივ „კრიჭაში უდგას“ საკუთარ მთავრობას (იმდენადაც კი, რომ ქვეყნის ინტერესთა ღრმა დაზიანებას არ ერიდება), მოლდოველი ხალხის არჩეულია — აბსოლუტურად დემოკრატიული, გამჭვირვალე, პატიოსანი, გაუყალბებელი საყოველთაო-ხალხო კენჭისყრით!

გამოდის, მოლდოვამ აირჩია პრეზიდენტი, რომელიც პირდაპირ, დაუფარავად ვნებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს და ხელყოფს მის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას.

* * *

რატომ ხდება ასე? სანამ კითხვას ვუპასუხებდეთ, დავაკვირდეთ კიდევ ერთ უცნაურ „დამთხვევას“: ერთადერთი ევროპელი ლიდერი, ვინც 2015 წელს, მიუხედავად ყირიმის ანექსიისა, მოსკოვში ჩავიდა და პუტინს „ხელი ჩამოართვა“, იყო ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი. დოდონთან მისი „ტიპოლოგიური მსგავსება“ კი ისაა, რომ ჩეხეთშიც, ისევე როგორც მოლდოვაში, პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი კენჭისყრით, მაგრამ ამ ძალიან მაღალი ლეგიტიმაციის მიუხედავად, მას არ გააჩნია არანაირი რეალური უფლებამოსილება და რაკი უფლებამოსილება არა აქვს, არც პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება.



ზიდენტს ძალაუფლება არ გააჩნია, შესაბამისად არ გააჩნია პასუხისმგებლობაც.
ყველაფერზე

ანუ, რაც არ უნდა მოჰყვეს დოდონის ან ზემანის ნაბიჯებს, ისინი ყოველთვის იტყვიან, რომ ქვეყნის მდგომარეობაზე არა თავად, არამედ მთავრობა აგებს პასუხს.

როდესაც ფრანგული რადიოს კორესპონდენტმა ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ქართველ კონსტიტუციონალისტს ვახტანგ ხმალაძეს ჰკითხა: „რატომ არის მიზანშეუწონელი საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პირდაპირი კენჭისყრით არჩევაო“, ხმალაძემ, ვინც, შეიძლება ითქვას, „კონსტიტუციის ფანატიკოსია“, ასე უპასუხა: **„იმიტომ, რომ როდესაც პრეზიდენტს აქვს ძალიან მაღალი (საერთო-სახალხო) ლეგიტიმაცია და არ გააჩნია რეალური ძალაუფლებრივი ბერკეტები, მას აუცილებლად უჩნდება ზეამბიცია და ხდება კონფლიქტური; შესაბამისად, არა მხოლოდ ვერ ასრულებს „ზეპარტიული არბიტრის“ ფუნქციას, არამედ თვითმიზნად ისახავს მთავრობასთან დაპირისპირებას — თუნდაც გრძელვადიანი საქვეყნო ინტერესების დაზიანებით“.**

ამ დასკვნას ადასტურებს ის, რასაც ახლა სჩადიან მოლდოვას ან ჩეხეთის პრეზიდენტები. შესაბამისი სიმპტომები იკვეთება პოლონეთშიც.

არადა, „ძალაუფლებათა გაყოფის“ კონცეფცია, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან იღებს სათავეს, საკმაოდ ზუსტი და უტყუარი „მეცნიერებაა“, რაკი ათასწლოვან საკაცობრიო გამოცდილებას ეყრდნობა: ეგვიპტის ფარაონებიდან, რომის იმპერატორებიდან და შუა საუკუნეების ევროპელი მონარქებიდან მოყოლებული, ხელისუფლებას სამი კომპონენტი „ქსოვს“: ლეგიტიმაცია, ძალაუფლება და პასუხისმგებლობა.

ევროპელი აბსოლუტისტი მონარქები თავს „მირონცხებულებად“ აცხადებდნენ და სწორედ უფალი იყო მათთვის ლეგიტიმაციის წყარო. ამგვარი ლეგიტიმურობა მონარქს ძალაუფლებას ანიჭებდა, ხოლო ძალაუფლება პასუხისმგებლობასაც გულისხმობდა;

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში ლეგიტიმაციას განსაზღვრავს ხალხი, ელექტორატი, რომელიც ირჩევს პრეზიდენტს, ანიჭებს მას ძალაუფლებას და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც;

კონსტიტუციურ მონარქიებში, ხელმწიფეს აქვს მხოლოდ ცერემონიული ფუნქცია. მას არ გააჩნია ძალაუფლება, შესაბამისად არ ეკისრება პასუხისმგებლობაც;

კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის ლეგიტიმურობის ხარისხი დაბალია: მას „მხოლოდ“ პარლამენტი ან „ეროვნული ასამბლეა“ ირჩევს. პრეზიდენტს ძალაუფლება არ გააჩნია, შესაბამისად არ გააჩნია პასუხისმგებლობაც. ყველაფერზე მთავრობა აგებს პასუხს;

შერეულ საპრეზიდენტო რესპუბლიკებში (საფრანგეთი) პრეზიდენტს აქვს ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია, მაგრამ აქვს ძალაუფლებაც. საფრანგეთში სახელმწიფოს მეთაური არ არის მხოლოდ ცერემონიული ფიგურა, შესაბამისად მის ძალაუფლებას პასუხისმგებლობაც ახლავს თან.

* * *

მაგრამ სერიოზული პრობლემა განვითარდა მას შემდეგ, რაც საერთო-ევროპულ დემოკრატიულ პროცესში, განსაკუთრებით ბოლო 30 წლის მანძილზე, შეიქმნა კიდევ ერთი, შინაარსობრივად მახინჯი, აბსურდული მოდელი, რომელიც მთლიანად ანგრევს ათასწლეულებით აპრობირებულ ზემოხსენებულ „სამკომპონენტიან“სისტემას — ლეგიტიმურობა, ძალაუფლება, პასუხისმგებლობა.

ანუ, დავაკვირდეთ: პრეზიდენტი საყოველთაოდ არჩეულია, მაშასადამე აქვს შეუდარებლად უფრო მაღალი ლეგიტიმაცია, ვიდრე ექნებოდა თუ მხოლოდ პარლამენტი აირჩევდა; მაგრამ ამ მაღალი ლეგიტიმურობის მიუხედავად, მას არ გააჩნია ძალაუფლება და რაკი ძალაუფლება არა აქვს, პასუხისმგებლობაც არ ეკისრება. ზუსტად ამიტომ, ყველა ქვეყანაში (იმავე ავსტრიაში, პოლონეთში, მოლდოვაში) სადაც მოქმედებს ეს მოდელი, აუცილებლად, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ სიღრმითა და ხარისხით, იქმნება ძალიან სერიოზული კონფლიქტოგენური პრობლემები.

* * *

ახლა დავუბრუნდეთ საქართველოს საკონსტიტუციო პროცესს: 2004 წლიდან „რეფორმატორებმა“ გააუქმეს ხელისუფლებათა დანაწილების „ამერიკული მოდელი“ (ჩემი აზრით ყველაზე მიზანშეწონილი საქართველოსთვის) და რეფორმათა გატარებისას „წინააღმდეგობის დათრგუნვის აუცილებლობის“ მომიზეზებით, განახორციელეს ძალაუფლების კონცენტრაცია პრეზიდენტის ინსტიტუტში; შემდეგ, 2009 წლიდან, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც უკვე მაშინ ფიქრობდა საკუთარი ძალაუფლების უსასრულობაზე და არსად წასვლას არ აპირებდა მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, მახვილგონივრულად გამოიყენა ქართული პოლიტელიტის მუდმივი სწრაფვა „საპარლამენტო მოდელისკენ“ და დიდოსტატურად ჩაანაცვლა „ძალაუფლების კონცენტრაციის რგოლი“ პრემიერ-მინისტრით — ნაცვლად პრეზიდენტისა; ოღონდ, სინამდვილეში, ეს იყო არა საპარლამენტო რესპუბლიკისკენ გადადგმული ნაბიჯი, არამედ „ძალაუფლების კონცენტრაციის ცენტრისთვის“ სახელის გადარქმევა; ხოლო პრეზიდენტის საყოველთაო არჩევის დატოვება მიშას დასავლეთში „დემოკრატიული იმიჯის“ შენარჩუნებისთვის სჭირდებოდა. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ „ნაციონალებს“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება ან საარჩევნო ბარიერის დაწევა აზრადაც არ მოსვლიათ.

* * *

დღეს, „ოცნებას“, ასევე არ ეპიტნავება რეალური ბერკეტების დათმობა და წინამორბედთა გზას ადგას. სხვა შემთხვევაში, ნამდვილი საპარლამენტო მმართველობის დასამყარებლად, „ქართული ოცნება“გადადგამდა იმ ერთადერთ ნაბიჯს, რაც მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებაზე ბევრად მნიშვნელოვანია: **შეამცირებდა საარჩევნო ბარიერს პარტიებისთვის 3 ან 2 პროცენტამდე და ამით შექმნიდა მტკიცე გარანტიას ნამდვილად პლურალისტური, მრავალპარტიული პარლამენტის, შესაბამისად, ნამდვილი საპარალამენტო დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად**.

თუმცა, ამას რომ საყვედურობ, ტრადიციული ტექსტით გიპასუხებენ: „იცით რა... საქართველო ისეთ რეგიონში ცხოვრობს რომ... აუცილებლად გვჭირდება გარკვეული სტაბილურობა...“

მერედა, თუ ქვეყნის ინტრესების დასაცავად ძალაუფლების კონცენტრაცია და სტაბილურობა მართლა აუცილებელია, ამ მიზნის მისაღწევად საპარლამენტო მოდელის დამახინჯების გზით რატომ უნდა წავიდეთ? ხომ არსებობს ბევრად უფრო ლოგიკური და ასევე ისტორიულად აპრობირებული მოდელი: ამერიკული ან ფრანგული ტიპის დემოკრატიული „საპრეზიდენტო რესპუბლიკა“, რომელიც ამთლიანებს „სახელისუფლებო ტრიადას“ (ლეგიტიმურობა — ძალაუფლება — პასუხისმგებლობა), ანუ მაღალი ლეგიტიმაციის მმართველობით ინსტიტუტს ანიჭებს ძალაუფლებას, ოღონდ, იმავდროულად, პასუხისმგებლობასაც!

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური კლასი, 2004 წლიდანვე, წავიდა სისტემის დამახინჯების გზით (ავადსახსენებელი „თებერვლის შესწორებები“ ყველაზე მეტად „პუტინის მოდელს“ ჰგავდა), გააგრძელა იგივე 2009-2010 წლებში; ხოლო დღევანდელი ხელისუფლება ტოვებს იმ მოდელს, რომელიც საakაშვილს სათავისოდ უნდოდა, რათა პრეზიდენტის სავარძლიდან - პრემიერის სავარძელში გადაეანაცვლა: **„ოცნება“ არ ამცირებს საარჩევნო ბარიერს, კრძალავს საარჩევნო ბლოკებს, ითვისებს ბარიერგადაულახავი პარტიების ხმებს და, იმავდროულად, რაც არანაკლებ სახიფათოა ქვეყნისთვის, 2023 წლამდე ტოვებს ამ მახინჯი მოდელის იმ კიდევ უფრო დამახინჯებულ „ერზაცს“, როდესაც პრეზიდენტი არაუფლებამოსილი, თუმცა საყოველთაოდ არჩეულია; შესაბამისად არის მეტისმეტად ამბიციური და „კრიტიკანული“** — თუნდაც ქვეყნის ინტერესთა საზიანოდ.

ნიკა იმნაიშვილი

ჩვენ ვერ შევედით ნატოში, სამაგიეროდ, ნატო შემოვიდა საქართველოში...

ნამდვილად ასეა: წლების მანძილზე თავგადაკლული მცდელობის მიუხედავად, მართალია, ჩვენ ვერ შევედით ნატოში, მაგრამ, სამაგიეროდ, ნატო შემოვიდა საქართველოში. ამის თვალხილული დადასტურებაა 26-29 მაისს საქართველოში გამართული ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებამ და ევრო-ამერიკულმა დემოკრატიამ უმაღლესი შეფასება მისცეს. სესიის მსვლელობისას მრავალმნიშვნელოვნად „გაჟღერდა“, რომ ნატოს არაწევრი იმ ოთხი ქვეყნიდან, სადაც ადრე ასამბლეის მსგავსი სესია გაიმართა, დღეისათვის ოთხივე უკვე ამ ალიანსის ღირსეული წევრია. ამან, ბუნებრივია, გააჩინა რეალური მოლოდინი, რომ ახლო მომავალში იმ ქვეყნების გაბედნიერების წყალი შეიძლება საქართველოსაც გადაესხას.

ადრე იმით გვამხნევებდნენ, რომ მაპზე უკეთესი დაპირება გვქონდა, — ასპირანტი ქვეყნის წოდების მინიჭებით, ბოლოს ალიანსის საწვრთნელი ცენტრიც გაგვიხსნეს, მაგრამ თვით ნატოს კარი ჩვენთვის მაინც ჩარაზული დარჩა.

არადა, ბევრს უკვე სათვალავიც აერია. აი, უკვე მერამდენე წელია, ქრისტესმიერი მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუყვებით ნატოს კარისკენ მიმავალ საოცნებო გზას, მაგრამ მის ზღურბლს ვერა და ვერ გადავაბიჯეთ. ამ ხნის მანძილზე რას აღარ იგონებდნენ, რომ ჩვენთვის ნანატრი მაპის მოცემა რაც შეიძლება შორს გადაეწიათ. ადრე იმით გვამხნევებდნენ, რომ მაპზე უკეთესი დაპირება გვქონდა, — ასპირანტი ქვეყნის წოდების მინიჭებით, ბოლოს ალიანსის საწვრთნელი ცენტრიც გაგვიხსნეს, მაგრამ თვით ნატოს კარი ჩვენთვის მაინც ჩარაზული დარჩა.

რა დასამალია, ბევრი დიდი პოლიტიკური ფიგურისთვის, ისეთისთვისაც კი, როგორიც ყველგანმავალი სააკაშვილია, დღემდე გამოუცნობი დარჩა, რანაირად არის მოწყობილი ეს ნატოს კარი, რომ ერთდროულად ღიაც არის და დახურულიც? ზოგმა ისიც კი იფიქრა, ნატოს კარი იმდენად ვიწროა და დაბალი, რომ ჩვენ „მაღალოს“ თავის შერტყმისა შეეშინდა და უკან გამობრუნდა (მას ბევრჯერ და ბევრი რამისთვის შეურტყამს თავი, მაგრამ არასოდეს სტკენია და არც ტვინი შერყევია, ყოველ შემთხვევაში თავად ასე ჰგონია!). ფაქტია, ბუღა ხარივით შემტევმა მიშამ, სადაც მოისურვა, ყველგან შეეტენა (ოდესის გუბერნატორადაც კი) და რაღა ნატოს კარში ვერ შეეტია?!

აყლაყუდა და ცალტვინა ნაპრეზიდენტალისგან განსხვავებით, უფრო გონივრულად და ტაქტიანად მოიქცა თავდაცვის ნამინისტრალი, ქალბატონი თინათინი (ქალის ჭკუა მაინც გამორჩეულია!), რომელიც ნატოს კარის ჯიქურ შემტვრევას მოერიდა და მოკრძალებულად განაცხადა: თუ კარიდან არ შეგვიშვებენ, ჩვენც ავდგებით და ფანჯრიდან გადავძვრებითო. თანამდებობაზე ყოფნა არ აცალეს, თორემ მისი მოხერხებულობის ამბავი რომ ვუწყით, შეიძლება მართლაც გადამძვრალიყო (ტანიც ხელს უწყობდა) და ამდენ ვაი-ვაგლახს გადავრჩენილიყავით. თანაც ეს ყველაფერი რუსეთის თვალთახედვიდან მოფარებულად (ფანჯრიდან) თუ მოხდებოდა, შესაძლოა, მისი აგრესიული მარწუხებისგან საერთოდაც გამოვმძვრალიყავით.

აფსუს, რა შანსი გავუშვით ხელიდან? არა უშავს, ჩვენ იმდენი გვაქეს და გვაღმერთეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დღეებში, რომ საქართველო ამ დანაკლისს სულ ჰაი-ჰარალეთი აინაზღაურებს. მას იმდენი საქმენი საგმირონი აქვს ნაკეთები ალიანსის გასაძლიერებლად, რომ თვით ნატოს ძველისძველ წევრებსაც კი შეშურდებათ. ამის დასტური გახლდათ სესიაზე ასამბლეის პრეზიდენტის პაოლო ალის გამოსვლა, რომელმაც ისაუბრა საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრიბუციაზე და აღნიშნა, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მაღალი დონის პროფესიონალიზმისა და ნატოში ინტეგრაციისთვის მზაობის დემონსტრირება მოახდინეს. მან ქართველ სამხედროებს გლობალურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საზოგადოება იმ ქართველი ჯარისკაცების ვალშია, რომლებმაც მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ბრძოლას საკუთარი სიცოცხლე შესწირესო.

ამ ყველაფრის ფონზე, ჩვენმა მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც გამოიღო ხელი და შემოგვთავაზა: რადგან ასეთი ყოჩაღები ხართ, ახალი იარაღიც დაგჭირდებათ და ჩვენგან „საჩუქრად“ მიიღეთო. მთლად საჩუქრად ვერა, ფულს გადაგახდევინებთ, მაგრამ რადგან არა გაქვთ, გასესხებთო. აბა, როგორ, სწორედ ამაშია ამერიკული დახმარების ხიბლი — ფულს გვასესხებს და იმ ფულით თავისივე იარაღს მოგვყიდის. ამ სიკეთეს მარტო ჩვენთვის ხომ არ სჩადის, ამერიკას ყოველთვის ეგულება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ფულს ასესხებს, შემდეგ კი თავის პროდუქციას მიასაღებს.

ჩვენს ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდება ვალის აღება (მას ამის დიდი გამოცდილება აქვს), მაგრამ გამოუჩნდნენ შარიანი ადამიანები, რომლებიც სვამენ კითხვას: ამ იარაღით ვის შეიძლება ეომოს საქართველო რეგიონში? პირველ რიგში, რუსეთს, რომლის მეზობლობით გაწირულები ვართ. მეორეა თურქეთი, რომელთან მეზობლობითაც ასევე გაწირულები ვართ. რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, პირველ შემთხვევაში სამხედრო კონფლიქტი ისევ რუსეთთან ომის ტოლფასია, მეორის შემთხვევაში კი — თურქეთთან. გამოდის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ვისთანაც უნდა მოგვიხდეს სამხედრო კონფლიქტი, მარცხი არ აგვცდება, მით უფრო, რომ მთავარსარდალიც არა გვყავს.

რახან ეს გავარკვიეთ, არც იმის მიხვედრა უნდა გაგვიჭირდეს, რუსეთს, რომლის ნერვების აწეწვასაც თავად ნატოც კი გველნაკბენივით ერიდება, რამდენად ეამებოდა საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თავყრილობის გამართვა. რუსეთს აბა ვინ შეეკითხა, თორემ შეიძლება, ერჩივნა კიდეც საქართველო შესულიყო ნატოში, ვიდრე ნატო შემოსულიყო საქართველოში და მის საზღვართან დაბანაკებულიყო. გადაყლაპავს თუ არა რუსეთი ამ უსიამოვნო ლუკმას, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ოთარ ხუციშვილი

ევროკავშირი, აშშ და ნატო საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობენ

საკონსტიტუციო ცვლილებები და კონკრეტულად კონსტიტუციის ახალი რედაქციის თავი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ, — ეს იყო მთავარი საკითხი, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სამოკავშირეო ოფისის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე იმსჯელეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, მედიასთან კომენტარი მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გააკეთა. არჩილ თალაკვაძის თქმით, შეხვედრის მონაწილეებს მათ მიაწოდეს ინფორმაცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით და გამოითქვა მზადყოფნა, რომ გაზიარებული იქნება მოკავშირეების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

„განვიხილეთ ახალი კონსტიტუციის კონკრეტული თავი, რომელიც ეხება სახელმწიფო თავდაცვასა და უსაფრთხოებას. განვიხილეთ ის ცვლილებები და მოდელი, რომელიც თავდაცვისუნარიანობისთვის არის შემოთავაზებული ახალ კონსტიტუციაში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოკავშირეების აზრი. რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ მოსაზრებებსა და რჩევებს, რომელიც ექნებათ ჩვენ მოკავშირეებს და ეს იქნება გათვალისწინებული საპარლამენტო განხილვების დროს. ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია და არგუმენტები, რომელიც ამ კონცეფციის სასარგებლოდ გვაქვს“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ არჩილ თალაკვაძემ.

ენტონი დელანოი: საქართველოს ეკონომიკა შესაძლოა, დაგეგმილზე მაღალი ტემპებით განვითარდეს

ამ მომენტისათვის **პირველი ინდიკატორები აჩვენებს, რომ სავალუტო ფონდის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს და შესაძლოა, ეკონომიკა დაგეგმილზე მაღალი ტემპებით განვითარდეს, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ენტონი დელანოიმ საქართველოს პირველ ვიცე-პრემიერთან, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან შეხვედრის შემდეგ.**

სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება, რომლის დროსაც დაგეგმილი აქვს შეხვედრების გამართვა საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის სამწლიანი პროგრამის მიმდინარეობისა და არსებული პროგრესის შესახებ ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ფონდის პროგრამა, რომელიც აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭომ 2017 წლის 12 აპრილს ერთხმად დაამტკიცა, საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიან რეფორმების გეგმას ეფუძნება.



შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ ფონდის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები თანამიმდევრულად, ყოველგვარი ჩამორჩენის გარეშე ხორციელდება, რაც სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დადებითად შეაფასა.

საუკუნის მაგისტრალის მშენებლობა ბოლო ფაზაშია

ივნისის ბოლომდე ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის თურქეთის მონაკვეთის მშენებლობა დასრულდება. თურქეთის ტრანსპორტის, ზღვაოსნობისა და კომუნიკაციების მინისტრმა აჰმედ არსლანმა განაცხადა, რომ სარკინიგზო ხაზი თვის ბოლოს აუცილებლად დასრულებული იქნება.

არსლანის განცხადებით, პროექტი არა მხოლოდ თურქეთისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დაამატა: **„ამ თვის ბოლოს თურქეთის მონაკვეთი დასრულდება. ამ ხაზზე მატარებლები მუშაობას შეძლებენ. სექტემბრის დასაწყისისთვის საქართველოს მონაკვეთიც დასრულდება და სარკინიგზო ხაზის გამოყენება უწყვეტად გახდება შესაძლებელი. პროექტის 79 კილომეტრი თურქეთის მხარეზეა, 26 კილომეტრი კი საქართველოს მხარეზე... ჩინეთიდან ევროპისკენ სერიოზული ტვირთის გადაზიდვა ხდება. ჩვენ მიზნად ვისახავთ ამ სატვირთო ბრუნვის თურქეთზე გავლასა და მისგან საკმარისი წილის მიღებას. სტამბოლში ზღვის ქვეშ მარმარაის აგებით ტრანსპორტირება უწყვეტი გავხადეთ. ამ სარკინიგზო ხაზზე არსებული რგოლის დასრულების შემდეგ წელიწადში 26,5 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა მოხდება“.**

„პრეზიდენტმა“ თავი სრულიად გამოიაშკარავა

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქართველოში დაკავებას და მის გადაცემას აზერბაიჯანის მხარისთვის დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ოპოზიცია, არასამთავრობოები, პრეზიდენტი, ვიტყოდი, ერთი ყალიბის ინდივიდები, გაერთიანდნენ და ანტისახელმწიფოებრივ აქციებს სათავეში ჩაუდგნენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულმა მოვლენამ ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა – გაირკვა ვინ იღვწის სამშობლოსთვის და ვინ არის უპრინციპო ინტრიგანი, რომელიც თავის გამოჩენის მიზნით ქვეყნის ინტერესებს, უკაცრაული პასუხია, ფეხებზე იკიდებს.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და ქართმისტვინა ინდივიდები

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანი და საქართველო სტრატეგიული მოკავშირეები არიან. ერთობლივად გაჰყავთ ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურად და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ამ ორ მეზობელ ქვეყანას ურთიერთშეღავათიანი ვაჭრობა აქვთ. მოკლედ, ეს ორი ქვეყანა მეგობრულ ურთიერთობაში არიან. ასეთ ვითარებაში მავანი როგორ წარმოიდგენს! – ალიევისადმი მკვეთრად დაპირისპირებულ ჟურნალისტს საქართველოს მთავრობა პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემდა? – ამას სულელის, ქვეყნის მოღალატის გარდა არავინ გაიფიქრებს. საქართველო ერთი ჟურნალისტის სურვილის აღსრულებისთვის აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან საქმეს გაიფუჭებს?!

ყველაფერი ეს თვით ჟურნალისტს უნდა გაეთვალისწინებინა და სხვა ქვეყნისთვის მიემართა მსგავსი თხოვნით.

დავუშვათ, საქართველოს ხელისუფლება დაჰყვეს ოპოზიციის, მარგველაშვილის ანტისახელმწიფოებრივ მოთხოვნას და აზერბაიჯანელ ჟურნალისტს საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, თვით მკითხველმა წარმოიდგინოს რა მოჰყვება ამ ნაბიჯს აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან.

ოპოზიციას, არასამთავრობოებს და მარგველაშვილს სწადიათ, არცთუ ისე მნიშვნელოვან მოვლენას საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვეს, რათა ქვეყნის იმიჯი შეილახოს. რა ჰქვია ასეთ ქმედებას, თუ არა, მოღალატეობრივი საქციელი. პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამ ინციდენტს თუ შემთხვევას მალე საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვება და მსოფლიო მასშტაბით თავი მოგვეჭრებაო.

მარგველაშვილო, დაგავიწყდა, როდესაც „ოცნების“ ლიდერებს ჩამორჩენილი მოწაფესავით ქამარში გამობმული დაჰყავდი სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ და ამომრჩევლებს მოუწოდებდნენ მხარის შენთვის დაჭერისაკენ? ივანიშვილმა გაგხადა ჯერ მინისტრი, შემდეგ პრეზიდენტი... სასახლესთან დაკავშირებით ფიცი გატეხე, ვითომ ეს არაფერი. შემდგომ ნელ-ნელა საკისტების ბანაკში გადაბარგება დაიწყე, ხოლო აზერბაიჯანელ ჟურნალისტთან დაკავშირებულ მოვლენებთან მიმართებაში სრულიად დაკარგე თავზე კონტროლი და შენს საკისტობას ბეჭედი დაუსვი, სწორედ შენი საქციელი საერთაშორისო მასშტაბით რომ გახმაურდეს, მაშინ მოგვეჭრება თავი – ქართველებს რა მერყევი (რბილად ნათქვამია) და სიტყვის გამტეხი „ბელადი“ ჰყოლიათო.

წინამდებარე სტატიაში აღწერილ მოვლენებთან დაკავშირებით მსურს, მკითხველს მოვუთხრო, თუ რა გადამხდა თავს საკაშვილის რეჟიმის დროს.

– 1997 წელს საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრებს დაგვენიშნა პენსია 55 ლარის ოდენობით, რაც დაახლოებით ოთხჯერ მეტი იყო, ასე ვთქვათ, ვიდრე ჩვეულებრივი პენსია (14 ლარი). საკაშვილი და მისი თანამზრახველები იმდენს ეცადნენ, რომ პოლიტპატიმრებს მიატმასნეს რამდენიმე ათასი მოქალაქე მხარდამჭერების მომრავლების მიზნით და მათაც გაზრდილი პენსია დაუნიშნეს, ხოლო პარლამენტიდან დაითხოვეს მცოდნე ადამიანები და მათ მაგივრად მიიყვანეს განუსწავლელი გოგო-ბიჭები. შეიძლება ითქვას, საკისტებმა ჯერ საპარლამენტო გადატრიალება განახორციელეს, ხოლო შემდგომში – სახელმწიფო.

ბედის უკულმა ტრიალის გამო საკაშვილი და მისი თანამზრახველები ხელისუფლებაში მოვიდნენ. მართალია, მათი მმართველობის დროს მინიმალური პენსია 100 ლარი გახდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრების პენსია, საკაშვილის ბრძანებით, 55 ლარზე გაყინეს. აი, რა მზაკვრობა ჩაიდინა თაღლითმა საკაშვილმა მრავალტანჯული პატრიოტების წინაშე. ცნობისათვის, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტპატიმრების პენსია უმაღლესია. მართალია, ეს პენსია „ოცნებამ“ 100 ლარამდე ასწია, მაგრამ ესეც ხომ ცოტაა. ამიტომ ყველა ყოფილი პოლიტპატიმარი მოხუცებულობის პენსიაზე გავიდა. გამოდის, დღესდღეობით ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოქალაქეები – საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმრები – ყოველგვარი შეღავათის გარეშე აღმოჩნდნენ.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მატერიალურად მეც ძლიერ გამიჭირდა. არადა, რამდენიმე მოწვევა მქონდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. 1997 წელს 22 დღის განმავლობაში გერმანიაში ლექციებს ვკითხულობდი, ვიტყოდი, საკმაოდ წარმატებითაც. იქაური მეცნიერები მირჩევდნენ კიდეც – რამდენიმე წლით გერმანიაში დავრჩენილიყავი – საქართველოში მატერიალურად ძლიერ გაგიჭირდება და აქ ყველა პირობას შეგიქმნით სამოღვაწეოდო. რასაკვირველია, ამ ყველაფერზე უარი განვაცხადე – ახლა ქვეყანას ძლიერ უჭირს და თბილი ადგილის საძებრად ყველა რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს გავიფანტოთ, სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება-მეთქი, – ამ შემოთავაზებას ასე ვუპასუხე. მაგრამ საკაშვილის რეჟიმი ქართველი ხალხისთვის აუტანელი გახდა. აჯანყების მოწყობა კიდევ უფრო დაამძიმებდა ქართველი ხალხის მდგომარეობას, ამიტომ გადავწყვიტე, რამდენიმე წლით გერმანიაში წავსულიყავი, თან ლექციები წამეკითხა, აგრეთვე მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გაეცნო საკაშვილის გაუსაძლისი რეჟიმის შესახებ. ამ მიზნით გერმანიის საელჩოს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მივმართე (დაინტერესებულთ შეუძლიათ, ჩემი ნათქვამი გერმანიის საელჩოში შეამოწმონ) თხოვნას დავურთე ჩემი საბრალდებო დასკვნა, სადაც ისიც აღნიშნულია, რომ არალეგალური მოღვაწეობის დროს გერმანიის გაერთიანების პროპაგანდას ვეწეოდი.

ოფიციალურად, გერმანიის საელჩოდან დიპლომატიური ეტიკეტით გამსჭვალული პასუხი მივიღე, სადაც მიფასებდნენ დამსახურებას, როგორც ქართველი ერის წინაშე, ასევე ზოგადად, დემოკრატიის განვითარების საქმეში წვლილის შეტანისთვის. ელჩი პირადად მადლობას მიხდიდა იმისთვის, რომ გერმანიის გაერთიანებას მხარს ვუჭერდი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან. საბოლოო ჯამში კი – უარი პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნაზე. პასუხს მეორე წერილიც მოჰყვა – მთხოვდნენ გერმანიის საელჩოში გამოცხადებას. აი, როგორ დამმოძღვრეს იქ: თქვენს ხელისუფლებასთან გერმანიას ნორმალური ურთიერთობა აქვს, არ არის მიზანშეწონილი ამ ურთიერთობაში თქვენი თხოვნის შესრულების შემდეგ რაიმე ბზარი გაჩნდეს, ამას, თქვენ პატრიოტი კაცი, მხარს არ დაუჭერთო. რას ვიზამდი, საუბრისთვის მადლობა გადავუხადე საელჩოს თანამშრომლებს. გულში არავითარი წყენა არ ჩამრჩენია. რომ ამეტეხა ხმაური – გერმანია საკაშვილის პირსისხლიან რეჟიმს მხარს უჭერს, შემეკრიბა ათიოდე ადამიანი პლაკატებით ხელში, რა გამოვიდოდა? – არაფერი, მძლავრ გერმანიას ვერაფერს დავაკლებდი. გერმანია კი საკაშვილის მმართველობის შემდეგაც გამოადგება პატარა საქართველოს. ესე იგი გავუფრთხილდი გერმანიის ავტორიტეტს.

ესენი კი – მედროვეები, ხელმოცარულები, ავანტიურისტები, ერის გამყიდველები სამშობლოს სახელის შელახვასაც არ ერიდებიან, ოღონდაც გაუკულმართებული ხვაშიადი დაიკმაყოფილონ და ამით თავიანთი ქვეცნობიერი აზეიმონ.

ამიტომ ქართველ ხალხს მოვუწოდებ სიფხიზლისკენ, მოვლენების სიღრმისეული შრეების ათვისებისკენ, რათა საკადრისი მიუზღას ზემოხსენებულ ქათმისტვინა ინდივიდებს.

ვაჟა ჟღენტი,
საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე

◎ ინფორმაცია თემაში

პროტესტის ფორმა – თავზე ტომარა

ქართველმა ჟურნალისტებმა მათი კოლეგის აფგან მუხთარლის მხარდასაჭერად პარლამენტში აქცია გამართეს. მათ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე მოულოდნელად თავზე ტომრები ჩამოიცვეს.

როგორც ცნობილია, აფგან მუხთარლი აცხადებს, რომ მან თბილისიდან ბაქომდე სწორედ თავზე ტომარა ჩამოცმულმა იმგზავრა, მას შემდეგ რაც ის საქართველოს დედაქალაქიდან გაიტაცეს. 2 ივნისს ჟურნალისტ აფგან მუხთარლის მხარდამჭერებმა თბილისსა და ქუთაისში, პარლამენტის შენობებთან აქციები გამართეს.

აქციის მონაწილეები პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძესთან და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ. მათ შესაბამისი განცხადებაც ჩააბარეს პარლამენტში, თუმცა პასუხი არ მიულიათ. მანამდე ჟურნალისტები იმავეს ითხოვდნენ სუს-ის უფროს ვახტანგ გომელაურისგან, თუმცა უშედეგოდ.

საკნები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით

პენიტენციური დაწესებულებების საკნებში ბრალდებულები/მსჯავრდებულები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით გადანაწილდებიან. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის ბრძანებით, ცვლილებები, რომელიც საკნებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით განთავსების საკითხს შეეხება, პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში შევიდა.

უწყების განმარტებით, ცვლილებების საფუძველზე, პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორც წესი, საკნებში სხვა კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით მოათავსებენ ისეთ პირებს, რომლებიც ბრალდებულნი/მსჯავრდებულნი არიან სამოხელეო, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, ფულადსაკრედიტო სისტემაში, საფინანსო საქმიანობის სფეროში, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ დანაშაულებსა და კიბერდანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნული ცვლილება უკვე ძალაშია.

თავდასხმა სუპერმარკეტზე

სოფელ წინანდალში რამდენიმე პირი ერთ-ერთ სუპერმარკეტში შეიჭრა, – ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“ ავრცელებს.

მაღაზიის მეპატრონის ინფორმაციით, თავდამსხმელები შეირაღებული იყვნენ. ისინი ობიექტის მფლობელსა და მის მეუღლეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. დამტვრეულია მაღაზიის ინვენტარი და განადგურებულია პროდუქცია. მხარეებს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც მეპატრონემ თავდამსხმელთა ჯგუფს მაღაზიიდან პროდუქტების მოპარვის უფლება არ მისცა. ეჭვმიტანილებმა მიმალვა შეძლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება ჯგუფური ხულიგნობის მუხლით მიმდინარეობს.

* * *

შსს კი წინანდალში ყაჩაღური თავდასხმის ფაქტს არ ადასტურებს. როგორც „პირველ რადიოს“ უწყების პრესსამსახურიდან აცნობეს, ადგილი ჰქონდა ხულიგნობის ფაქტს. მომხდარზე გამოძიება ხულიგნობის – 239-ე მუხლით მიმდინარეობს.



იმპიჩმენტის პროცედურა

ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წელს შედგენილი და დღემდე მოქმედი ძველი ნის ძირითადი კანონის შემქმნელმა ავტორებმა გადაწყვიტეს კონგრესისთვის მიენიჭებინათ იმპიჩმენტის გამოცხადების უფლება. იგი ასეთნაირად არის ფორმირებული კონსტიტუციაში:

„შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და სამოქალაქო თანამდებობის პირები თანამდებობას ჩამოშორდებიან მაშინ, თუკი იმპიჩმენტის წესდების გასამართლებით დამნაშავეებად იქნებიან აღიარებულები ღალატში, მექრთამეობაში და სხვა მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებში“ (სტატია II, ნაწილი 4).

გარდა ამისა, იმპიჩმენტის შესახებ კონსტიტუციაში ნათქვამია შემდეგიც: **„წარმომადგენელთა პალატა ირჩევს თავის სპიკერს და სხვა თანამდებობის პირებს. იმპიჩმენტის დაწყების შემთხვევაში, მხოლოდ პალატას აქვს მისთვის თვალყურის დევნის უფლება“** (სტატია I, ნაწილი 2, პარაგრაფი 5).

„სენატს მინიჭებული აქვს სასამართლოს ჩატარების განსაკუთრებული უფლება იმპიჩმენტის დაცვის ფარგლებში, ამ მიზნით გამართულ სხდომებზე სენატორები დებენ ფიცს, ანდა იძლევიან პირობას.

თუ ბრალდებული შეერთებული შტატების პრეზიდენტია, მაშინ სხდომას თავმჯდომარეობს უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე. ვერც ერთი პიროვნება ვერ გასამართლდება დამსწრე სენატორების ორი მესამედის თანხმობის გარეშე“ (სტატია I, ნაწილი 3, პარაგრაფი 6).

„იმპიჩმენტის შემთხვევაში, განაჩენით განისაზღვრება თანამდებობიდან ჩამოშორება, შეერთებული შტატების სამსახურში რაიმე საპატიო ან საპასუხისმგებლო ანაზღაურებული თანამდებობის დაკავება და საქმიანობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, შემდგომში მიმდინარეობს გამოძიება, დადგენილ პირს წარედგინება ბრალდება, გადაეცემა სასამართლოს, გამოტანილი განაჩენით ისჯება კანონის შესაბამისად“. (სტატია I, ნაწილი 3, პარაგრაფი 7).

ცხადია, იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უკიდურესად საპასუხისმგებლო საქმეა და ამიტომაც ამ პროცედურას მხოლოდ ძალზე გამორჩეულ შემთხვევაში მიმართავენ. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია 1789 წელს ამოქმედდა და იქიდან მოყოლებული, იმპიჩმენტის პროცედურა მხოლოდ 65-ჯერ აღიძრა. თუმცა, წარმომადგენელთა პალატამ მხოლოდ 13-ჯერ მიიღო სენატის სასამართლოსთვის 13 თანამდებობის პირის გადაცემის გადაწყვეტილება. ესენი იყვნენ: ერთი პრეზიდენტი, ერთი სენატორი, კაბინეტის ერთი წევრი და ათი ფედერალური მოსამართლე (პრეზიდენტი ნიქსონი რომ არ გადამდგარიყო, მისი შემთხვევა, შესაძლებელია, მე-14 ყოფილიყო). იმ 13 პიროვნებიდან ათი სენატის სასამართლოს წინაშე წარსდგა; სამი მათგანი სხვადასხვა მიზეზთა გამო არ გასამართლდნენ, ხოლო ყველა ფედერალური მოსამართლე გამოცხადდა დამნაშავედ.

წარმომადგენელთა პალატამ იმპიჩმენტი პრეზიდენტ **ენდრიუ ჯონსონს** გამოუცხადა. იგი აბრაამ ლინკოლნის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო და მისი მკვლელობის შემდეგ დაიკავა პრეზიდენტის თანამდებობა.

წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის გადაწყვეტილება გამოიტანა. ამასთან, ყველა რესპუბლიკელი ხმას აძლევდა იმპიჩმენტს, ყველა დემოკრატი კი წინააღმდეგი იყო. ვარაუდობდნენ, რომ სენატი დამნაშავედ აღიარებდა პრეზიდენტს.თუმცა, თვლიდნენ, რომ სენატორების აზრი, მათი პარტიულობიდან გამომდინარე, კვლავაც გაიყოფოდა. მართლაც, კანზასის შტატის სენატორმა ედმუნდ როსიმ თანაპარტიელებთან ერთად არ მისცა ხმა კენჭისყრას, იგი იმპიჩმენტის წინააღმდეგ გამოვიდა. სწორედ ამ ერთმა ხმამ გადაწყვიტა საქმე — პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი დამნაშავედ არ აღიარეს.

საკონსტიტუციო კონვენტზე არაერთხელ გამოითქვა საფრთხე იმის თაობაზე, რომ იმპიჩმენტის გამოცხადების უფლება შეიძლება სუფთა პოლიტიკურ იარაღად გამოეყენებინა კონგრესს, როცა მოესურვებოდა, დაესაჯა ანდა კომპრომეტირება მოეწყო პრეზიდენტისთვის, მასთან უთანხმოებაში მყოფი კანონმდებლების შემხედვარეს. მაგრამ, კონვენტის ყველაზე გავლენიანმა დელეგატებმაც კი ვერ შეძლეს, ზუსტად განესაზღვრათ იმპიჩმენტის უფლება. საერთო განწყობა ასეთი იყო: იმპიჩმენტი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, დასახელებული თანამდებობის პირისგან განსაკუთრებით მძიმე ქმედებების ჩადენის დროს გამოეყენებინათ. იმპიჩმენტის დაწყების პროცედურა შეიძლება განსხვავებული ფორმით წარიმართოს. წარმომადგენელთა პალატის სხდომის დროს, მის ერთ-ერთ წევრს შეუძლია ბრალდება ზეპირად ან წერილობით წარმოადგინოს. პალატის ერთ ან რამდენიმე წევრს შეუძლიათ განსახილველად შეიტანონ შესაბამისი რეზოლუცია. იმპიჩმენტის შესახებ, პრეზიდენტმა შეიძლება წარმომადგენელთა პალატას სთხოვოს თავის გზავნილში. როგორც წარსულის გამოცდილებიდან გამოჩნდა, წარმომადგენელთა პალატა მსგავს ბრალდებებს იღებდა შტატების საკანონმდებლო ორგანოებიდან, შეერთებული შტატების ქვემდებარებაში არსებული ტერიტორიებიდან, ვინმეს სასამართლოსთვის გადამცემი „დიდი ჟიურისგან“. ბოლოს, იმპიჩმენტს, შეუძლია თავის მოხსენებაში რეკომენდაცია გაუწიოს წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთმა კომისიამ.

იმპიჩმენტისთვის კენჭისყრის დაწყებამდე, წარმომადგენელთა პალატა თავის კომისიებს ყოველთვის ავალებს ბრალდებების გამოძიებას. იმპიჩმენტის პროცესის დაწყებისას, წარმომადგენელთა პალატა ასეთნაირად მოქმედებს: **წინადადება შეაქვს, დადგენილი საკითხის გასარჩევად შეიქმნას განსაკუთრებული კომისია, ანდა საკითხს გასარჩევად გადასცემს უკვე არსებულ ერთ-ერთ კომისიას.** მე-20 საუკუნეში განხილული ოთხივე იმპიჩმენტის შემთხვევაში, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებები იურიდიული კომისიის რეზოლუციების საფუძველზე იყო გამოტანილი. როგორც კი საქმე კომისიაში შევა, გარჩევა მიდის დასახელებულ კომისიაში დადგენილი წესით. ჩვეულებრივ, ბრალდებულს განმარტების მიცემის, თავისი მოწმეების დასახელების, მათი დაკითხვისა და ადვოკატის წარდგენის უფლება აქვს. კომისიის სხდომები შეიძლება ჩატარდეს ღია კარის ან დახურული კარის ფორმით. განხილვის დასრულების შემდეგ, კომისიის წევრები კენჭისყრით წყვეტენ, გაუწიონ იმპიჩმენტს რეკომენდაცია თუ იგი გადადონ. ამისთვის აუცილებელია ხმათა უმრავლესობა. იმპიჩმენტის რეკომენდაციისას, კომისია ჩვეულებრივ კეთილ ნებას გამოხატავს იმპიჩმენტის სტატიების ტექსტების მიმართ, რომლებიც მერე, წარმომადგენელთა პალატაში განვითარებული პროცესების საფუძველი ხდება.

საპარლამენტო პროცედურების დაცვით, წარმომადგენელთა პალატაში გამართული საერთო დებატების დასრულების შემდეგ, პალატის წევრები თითოეული სტატიის მიხედვით იწყებენ ხმის მიცემას. ამ შემთხვევაშიც ხმების უმრავლესობაა საჭირო. იმპიჩმენტის მიღების გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ბრალდების სტატიებს აწერს ხელს და პალატა ნიშნავს თავის „მენეჯერებს“, რომლებსაც იმპიჩმენტის სენატში ჩატარება ევალებათ.

1868 წელს სენატში, წესების თანხმად, პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონის საქმის განხილვა, საკმაოდ გვაგონებს სისხლის სამართლის პროცესის სასამართლო განხილვას. ორივე მხარე — ბრალდებული და მბრალდებელი, წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს და გამოიძახებენ მოწმეებს. ბრალდებულს ჯვარედინი დაკითხვისა და დამცველის წარდგენის უფლება აქვს.

საქმის გარჩევის დროს ბრალდებულს შეუძლია დასწრება, ანდა ის შეცვალოს ადვოკატმა. საპროცესო საკითხებს წყვეტს თავმჯდომარე, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები შეუძლია უარყოს დამსწრე სენატორების უმრავლესობამ. **დამნაშავის აღიარებისთვის, საქმის განხილვის დამსწრე სენატორების ხმების ორი მესამედია საჭირო. თანამდებობიდან გადასადგომად ბრალდების ერთი მუხლის აღიარებაც კი საკმარისია.**

წარმომადგენელთა პალატაში საქმის გარჩევა, დასახელებული პიროვნების სასამართლოსთვის გადაცემის გადაწყვეტილების მიმღებ „დიდი ჟიურის“ შემადგენელ ნაფიც მსაჯულთა საქმიანობას შეიძლება შეედაროს. სენატში მოსმენა კი ძალზე ჰგავს „დიდი ჟიურის“ გადაწყვეტილების თანმდევ სასამართლო პროცესს.

თუმცა, **იმპიჩმენტის პროცედურა სულაც არ არის სისხლის სამართლის საქმის გარჩევა: განაჩენი შეიძლება იყოს თანამდებობიდან ჩამოცილება და არა თავისუფლების აღკვეთა, ანდა ფულადი ჯარიმა. მაგრამ, სენატისგან დამნაშავედ ცნობილ თანამდებობიდან გადაყენებულ პიროვნებას, შემდგომში შესაძლებელია ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე მოუწიოს წარდგომა.**

მოამზადა
გელა ჯიღაურმა.

P. S. დარწმუნებული ვართ, მკითხველისთვის, წაკითხულის სათანადოდ აღმქმელ-შემფასებელი საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი გახდება, საქართველოში უამრავი დამნაშავე ნაციონალისთვის იმპიჩმენტის მოწყობა. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ქართული „იმპიჩმენტი“. და საერთოდ, საქართველოში კანონი ოდესმე იკანონებს?!
გ.ჯ.

ტრამპმა ტილერსონს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება დაავალა

ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ახალ ზელანდიაში ვიზიტისას განაცხადა. „პრეზიდენტი თვლის, რომ რუსეთთან მისი ადმინისტრაციის წევრების კავშირების გამო აგორებულმა სკანდალმა მოსკოვთან დიალოგს ხელი არ უნდა შეუშალოს. მას სურს მოლაპარაკებებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნას მიღწეული,“ — აღნიშნა ტილერსონმა.

აშშ-ის გემები იაპონიის წყლებს ტოვებენ

ამერიკული ავიამზიდები „კარლ ვინსონი“ და „რონალდ რეიგანი“ იაპონიის ტერიტორიულ წყლებს ტოვებენ. გემებმა სამდღიან წვრთნებში მიიღეს მონაწილეობა. „კარლ ვინსონი“ სან-დიეგოს პორტში უახლოეს დღეებში დაბრუნდება, „რონალდ რეიგანი“ კი ტოკიოში იოკოსუკის ბაზაზე იქნება დისლოცირებული. კიდევ ერთმა ავიამზიდმა „ნიმიცმა“ ინდოეთის ოკიანისკენ აიღო გეზი, სადაც ერთობლივ წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას, თუმცა კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების ესკალაციის შემთხვევაში უკან დაბრუნდება.

ჩეხეთი ლტოლვილების მიღებაზე უარს ამბობს

ჩეხეთი ბრიუსელის მიერ იმიგრანტთა მიღებაზე დაწესებულ კვოტებს აპროტესტებს. გავრცელებული ინფორმაციით, პრაღამ ლტოლვილთა მიღება სექტემბრამდე შეაჩერა. სწორედ ამ დროისთვის მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ევროკავშირი, თუ რომელ ქვეყანაში რამდენ ლტოლვილს გაანაწილებს. მანამდე ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მილან ხოვანეცმა ღიად განაცხადა, რომ პრაღა ევროკავშირის მიერ დაწესებული ვალდებულების შესრულებას იმ შემთხვევაშიც კი არ აპირებს, თუ ჩეხეთს ამის გამო სანქციებს დაუწესებენ.

ყატარში მსოფლიო ჩემპიონატი შესაძლოა, ვეღარ გაიმართოს

არაბული ქვეყნების მიერ ყატარის იზოლაცია 2022 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. გავრცელებული ინფორმაციით, ყატარმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის 9 სტადიონის და სასტუმროების აშენება უნდა მოასწროს, რასაც იზოლაციის პირობებში ვერ შეძლებს. გარდა ამისა, ყატართან ავიამიმოსვლა უკვე რამდენიმე ქვეყანას აქვს შეწყვეტილი. სანქციების პირობებში ქვეყანას სასურსათო დეფიციტიც ელის. გუშინ ყატარი 8 არაბულმა ქვეყანამ ტერორიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა და დოჰასთან დიპლომატიური კავშირი შეწყვიტა.

კოალიციის ავიადარტყმებს სირიის მშვიდობიანი მცხოვრებლები ემსხვერპლნენ

გავრცელებული ინფორმაციით, ავიადარტყმები რაკას მოსაზღვრე რაიონში განხორციელდა. კოალიციის ავიაგამანადგურებელმა ევრფრატის ჩრდილოეთ სანაპირო დაბომბეს, სადაც რაკადან გამოქცეული მშვიდობიანი მცხოვრებლები აპირებდნენ გადასვლას.

◎ პერსპექტივა

„საექსპორტო მომავლის“ საფუძველი

მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ტემპების საგრძნობ შენელებას, ბევრ ქვეყანას, ასევე ერთიანად ცენტრალური ევროპა და ცენტრალური აზიის რეგიონში გარკვეული ხნის მანძილზე რეცესიის მიუხედავად, ბოლო დროს მდგომარეობა ნელ-ნელა უკეთესობისკენ იცვლება.

ამის თქმა, კერძოდ, საქართველოს მაკროეკონომიკური ვითარების ჩვეულ რიტმში „ჩაჯდომასთან“ დაკავშირებით შეიძლება, რაც ეკონომიკის ეფექტიანობის გაზრდას უწყობს ხელს, – ეს გახლავთ მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი უმაღლესი რანგის თანამდებობის პირის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის მთავარი ეკონომისტის **ჰანს ტიმერის** მთავარი გზავნილი, რომელიც მან თბილისში ამასწინანდელი ვიზიტისას გვამცნო. მის მიერ წარმოდგენილ მსოფლიო ბანკის მოხსენებაში „ვაჭრობა გარდამავალ პერიოდში“, რომელიც ბატონმა ტიმერმა საქართველოში წარადგინა, სხვა ასპექტებთან ერთად ხაზგასმითაა აღნიშნული: იმის გამო, რომ სხვა ქვეყნებთან ერთობლივად, მომავალში საქართველო წარმატებით განახორციელებს ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული საქონლის ექსპორტს, მას სწრაფი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი აქვს.

ეს, არსებითად იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, ასე ვთქვათ, „საექსპორტო მომავალი“, ფაქტობრივად, მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ინოვაციურ საწარმოთა მომრავლებაზე, უაღრესად ხარისხიანი და ამით დიდად კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე გადის. ამის საძირკველი კი, პირველ ყოვლისა, უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ეროვნული კადრების მომზადებაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ.

მსოფლიო ბანკის მოხსენების თანახმად, ეკონომიკური ზრდის ტემპები რეგიონში გარკვეულწილად მოიმატებს. ასეთი ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საფუძველს მსოფლიო ბანკის ექსპერტებს რეგიონის (**უმთავრესად იგულისხმება აღმოსავლეთი ევროპა და ცენტრალური აზია. – რედ.**) დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, აღმოსავლეთის ქვეყნებში ნავთობზე ფასების სტაბილიზების პროცესები ქმნის. ეს ვარაუდი, კონკრეტულად, მთლიანად რეგიონში წლეულს დაახლოებით 1,9 პროცენტის დონეზეა, რაც 0,3 პროცენტით მეტია შარშან ოქტომბერში გამოქვეყნებულ პროგნოზზე. ასევე საკმაოდ ოპტიმისტურია მომავალი, 2018 წლის განვითარების დინამიკა, რომელიც, არსებითად, სტაბილურობას შეინარჩუნებს და 1,8 პროცენტის ტოლი იქნება.

ანგარიშში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ რეგიონში საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა გააქტიურებისთვის მიღებულ ზომებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის თუნდაც ამ ერთობ მორიდებული, მაგრამ მაინც ზრდისთვის. მან ასევე განსაკუთრებული როლი შეასრულა რეგიონის ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებაში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, სწორედ ვაჭრობაა ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, როელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და მილიონობით ადამიანისთვის საქონელსა და მომსახურებას ხელმისაწვდომს ხდის. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ყველაფერი ეს მჭიდრო კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებში ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებასთან.

მაგრამ, ცხადია, ჩვენთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ რას ფიქრობენ მსოფლიო ბანკის სპეციალისტები საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელ მდგომარეობაზე და როგორ აფასებენ სამომავლო პერსპექტივებს.

ამრიგად, მსოფლიო ბანკის ექსპერტების პროგნოზით, **საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი წლეულს 3,5 პროცენტს შეადგენს** (აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან ეს მაჩვენებელი 2,7 პროცენტის ტოლი იყო. – რედ.). **სასიხარულოა ის გარემოება, რომ ზრდის ტენდენცია შემდგომშიც შენარჩუნდება – 2018 წელს მან 4,0 პროცენტი, ხოლო 2019 წელს – 4,5 პროცენტი უნდა შეადგინოს,** თუმცა კი ისიცაა, რომ მატების ოდენობითი პარამეტრი თავისთავად მაღალი არ არის.

ბატონ ტიმერის აზრით, ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა სავსებით შეესაბამებოდა რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა და თუკი უწინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელი დიდძალი ფინანსური სახსრების საზღვარგარეთიდან მოზიდვას გულისხმობდა (**ძირთიადად, კერძო გზავნილების, გრანტებისა და შეღავათიანი საკრედიტო ხაზების გახსნით – რედ.**), ამჟამინდელ პირობებში საჭიროა ეკონომიკური ზრდის ახალ მოდელზე გადასვლა. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ყველა სახეობის ბაზარი, ფაქტობრივად, სრულად იმპორტული საქონლითაა გაჯერებული, ვითარება უნდა შეიცვალოს უწინარესად იმ სექტორებში, რომლებსაც კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების კარგი პოტენციალი აქვთ. ექსპორტული საქონლის როგორც მრავალფეროვნების, ასევე ოდენობის მატება უახლოეს მომავალში სწორედ ინოვაციური, ტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული.

ოთარ ტურაბელიძე

◎ სახიფათო მასშტაბები

აზარტული ბიზნესი სარეკორდო მოგებით „ამაყობს“

სათამაშო ბიზნესმა მომგებიანობით ყველა სექტორი უკან ჩამოიტოვა. აზარტული თამაშების სექტორის შემოსავალმა 2016 წელს 4,235,351,755 ლარი შეადგინა, რაც 1 მილიარდით მეტია წინა წელთან შედარებით. 2015 წელს აზარტული თამაშის შემოსავალი 3,121,744,711 ლარს შეადგენდა.



2016 წელს აზარტული თამაშების ინდუსტრიის მოგებამ 363 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 50 მილიონით მეტია 2015 წელთან შედარებით. აზარტული თამაშების ბაზარზე ამჟამად 252 კომპანიაა.

სათამაშო ბიზნესი ყველაზე მომგებიანია ამჟამად საქართველოში, ამ სექტორის შემოსავალმა კომერციული ბანკების შემოსავალსაც კი აჯობა – 2016 წელს ბანკების შემოსავალი 2 მილიარდ ლარს შეადგენდა. მოგების მაჩვენებლითაც იგი უპირობოდ იკავებს მოწინავე პირველ პოზიციას.

ამ დროს ბიუჯეტი ამ კუთხით მნიშვნელოვან სარგებელს ვერ იღებს. **მართალია, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა წელს 89,3%-ით გაიზარდა, მაგრამ მისი მასშტაბები მაინც მცირეა. შემოსავლების სამსახურის მიერ „კომერსანტისთვის“ მიწოდებული ინფორმაციით, თუ 2016 წლის პირველ კვარტალში ამ ბიზნესიდან ბიუჯეტმა 17,882 მილიონი ლარი მიიღო, წელს 3 თვეში ამ თანხამ 33,858 მილიონი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის შემოსავლებში სათამაშო ბიზნესის წილი 1,4%-ს არ აღემატება. კიდევ უფრო მცირე იყო 2016 წლის 3 თვეში – 0,8%.**

რაც დრო გადის საქართველოში სათამაშო ბიზნესის პოპულარობა მუდმივად იზრდება და სახიფათო მასშტაბებსაც იძენს. ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევაც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 6% მუდმივად ჩაბმულია აზარტულ „საქმიანობაში“. მოთამაშეთა უმრავლესობა უპირატესობას ონლაინ ტოტალიზატორებს ანიჭებს.

ეკონომისტი ემზარ ჯგერენაია მიიჩნევს, რომ აზარტული ბიზნესიდან ბიუჯეტში მიღებული შემოსავალი ძალიან ცოტაა, თუმცა მან ტურიზმის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა. მაგალითად, აჭარაში 4-5-ვარსკვლავიან სასტუმროებს, სწორედ კაზინოების გამო აშენებენ, ვინაიდან სათამაშოდ უამრავი ადამიანი ჩამოდის მეზობელი ქვეყნებიდან.

„კაზინოების ტურიზმთან მიბმამ გაამართლა, ვინაიდან ბიზნესმენებმა სასტუმროების მშენებლობა დაიწყეს. ბათუმში სასტუმროების მშენებლობის მთავარი მიზანი არის კაზინოს გახსნა, მის გარეშე სასტუმროს ბიზნესი მომგებიანი აჭარაშიც კი არ არის. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში აღნიშნული ბიზნესი გამსხვილდა, მაგრამ მას შემოსავლების სახით დიდი არაფერი მოუტანია“, – ამბობს ემზარ ჯგერენაია.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, 2011 წელს სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში 52,652 მილიონი ლარი შევიდა, 2012 წელს – 52,767 მილიონი ლარი, 2013 წელს – 54,122 მილიონი ლარი, 2014 წელს – 63,143 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წელს – 66,486 მილიონი ლარი. შემოსავალი მკვეთრად მხოლო 2016 წელს გაიზარდა და 109 მილიონ ლარს მიაღწია.

პარლამენტში ფიქრობენ, სათამაშო ბიზნესის მხრივ კიდევ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი.

ბექა დანელია

თაღლითობის მცდელობა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თაღლითობის მცდელობის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დავით ჯ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით ჯ. თავს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლად ასაღებდა და საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა სოფ. კრწანისთან მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკანონებაში დახმარებას, რის სანაცვლოდაც 20 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ამასთან განუმარტა, რომ მიწის დასაკანონებლად მას აღნიშნული თანხის ნაწილი უნდა გადაეცა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე კომპეტენტური თანამდებობის პირებისათვის.

დავით ჯ-მ მოქალაქეს მოტყუებით, თაღლითურად გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 10 000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გადაცემული თანხა ამოღებულია ნივთმტკიცებად.

მკვლელს ათი წლით პატიმრობა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის ბრალდებული გ.თ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლითა და 120-ე მუხლით.

„სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ 2016 წლის 21 იანვარს, დაახლოებით 01:00 საათზე, ქალაქ ბათუმში ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე გ.თ.-ს ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ო. ს.-სთან და ა.ე.-სთან, რა დროსაც გ.თ.-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ო.ს.-ს დანით მუცლის არეში ორი ჭრილობა, ხოლო ა.ე.-ს თხემის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ო.ს. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ვინაიდან გ.თ. თავს არიდებდა გამოძიებას, მას ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 120-ე მუხლებით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება). სასამართლომ გ.თ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გ.თ. დაუსწრებლად სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – აცხადებენ პროკურატურაში.

◎ ᲒᲖᲐ ᲮᲡᲜᲘᲡᲐ

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დეტალები

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „მოხალისეში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და გენერალური მდივანი დავით მუჯირი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან და ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელმძღვანელ ზაზა დოლიძესთან ერთად ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

მსჯელობის მთავარი თემა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება და 1 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები შევიდა და 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში უკვე შესრულებული და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო თანხა ჯამში 211 126 949 (ორას თერთმეტი მილიონ ას ოცდაექვსი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა) ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც მიმდინარე და მომავალ წლებში ქართული ფეხბურთის ყოველწლიურად 37 მილიონი ლარით დაფინანსებას გულისხმობს.

ასევე გადაწყდა, რომ დამატებით გამოიყოფა დაახლოებით 100 მილიონი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

დასასრულს მედიის წარმომადგენელთათვის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც სფფ-ის ხელმძღვანელებმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა აღნიშნული შეხვედრა შეაჯამეს და სპორტული ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ მადლობა გადაუხადა მთავრობას ნდობისა და მხარდაჭერისთვის და ფეხბურთის განვითარების პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „დღეს ჩვენ შევხვდით ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის გუნდების წარმომადგენლებს. მათ მივაწოდეთ სრული ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ გამართული მთავრობის სხდომის შესახებ, სადაც დამტკიცდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა საბოლოო ფორმით ჩამოყალიბდა.

საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ გადანაწილდება სახელმწიფოსგან ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსები. მთლიანობაში საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გამოდგა, პასუხები გავეცით იმ კითხვებზე, რაც კლუბების წარმომადგენლებს ჰქონდათ ამ ცვლილებების მიმართ.

ვთვლი, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ის პროექტები, რაც ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. მადლობას ვუხდი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს და მთლიანად მთავრობის სრულ შემადგენლობას ასეთი მაღალი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. სახელმწიფო ბოლო პერიოდში ქართული ფეხბურთის მიმართ მართლაც დიდ ინტერესს იჩენს, რაც უკვე კონკრეტული ნაბიჯებით გამოიხატება, ეს კი ის გზაა, რომელმაც ქართული ფეხბურთი სამომავლო წარმატებებისკენ უნდა წაიყვანოს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამა ნამდვილად სამაგალითოა არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის, არამედ ზოგადად, ქართული სპორტისთვის“.

ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲮᲔᲩᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „საქართველოს მთავრობის დადგენილებით მართლაც რომ უპრეცედენტო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სრულ შემადგენლობას, ჩემს კოლეგებს ამ მხარდაჭერისთვის და ასეთი მაღალი ნდობისთვის. ფეხბურთის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას კიდევ 1 წელი დაემატა და 6-წლიანი გახდა, ხოლო ჯამში 2016 -2021 წლებში აღნიშნული პროგრამა 211. 126. 949 ლარით განისაზღვრა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამატებით გამოიყოფა თანხები ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. სავარაუდოდ შემიძლია გავაჟღერო, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 100 მილიონი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. შეგვიძლია დავასახელოთ კონკრეტული მაგალითები ბათუმში, ზუგდიდში, გორსა და ასევე სხვა რეგიონებში სტადიონების მშენებლობის მიმართულებით. ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ქართული ფეხბურთისთვის, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია აქამდე გაცხადებულ 265 მილიონთან შედარებით. ასევე სიახლე ისაა, რომ პრიორიტეტები და ფუნქციები გადანაწილდება და ჯამში მეტად სოლიდური თანხები დაიხარჯება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის თანახმად პირველად გამოიყოფა მეტად სოლიდური თანხები ბავშვთა ფეხბურთისთვის და განხორციელდება მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და განათლების ხელშემწყობი პროგრამები, რაც 2017 წელს 2 მილიონი ლარით, 2018 წლიდან 2,5 მილიონით, ხოლო მომავალ წლებში 3 მილიონი ლარით განისაზღვრება... აღსანიშნავია ისიც, რომ უეფამ აღნიშნული პროექტი და ურთიერთობის ეს ფორმატი სახელმწიფოსა და ფედერაციას შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად აღიარა. ზოგადად, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განახლებული ვერსიის ძირითადი პუნქტებია: კლუბების საბაზისო დაფინანსება, კლუბების ფინანსური სტიმულირება, კლუბების საპრიზო და საპრემიო ფონდი, მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამები.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისაა, რომ დაფინანსების მიმართულებით კლუბებს მეტი მოტივაცია მივცეთ და საბაზისო დაფინანსებიდან მოკლებული თანხები ფინანსური სტიმულირებისკენ მივმართოთ. ანუ, კლუბების დაფინანსების ჯამი არ შეიცვლება, უბრალოდ ვფიქრობთ, რომ ამ ნაბიჯით კლუბებს უფრო ეფექტურად მუშაობის სტიმულს მივცემთ როგორც სატრანსფერო პოლიტიკის სწორად წარმოების, ასევე სპონსორებთან ურთიერთობის კუთხით.

ასევე, ჩვენი მთავარი ამოცანაა ის, რომ კლუბებში სწორი მენეჯმენტის ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი და დაფინანსებაც ამ კუთხით განვახორციელოთ. სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს კლუბების ფინანსური სტიმულირების მზარდ მოდელს შემდგომი 5 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომდევნო წლებში კლუბების საპრიზო და საპრემიო თანხა არ შეიცვლება, რაც ასევე დამატებით მოტივაციას აძლევს კლუბებს“.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

◎ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზურაბოსმა „ჯვაროსანთა“ გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა. ბერძენმა სპეციალისტმა გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად შეკრებაზე ახალგაზრდებსაც უხმო.

ეროვნული გუნდის კანდიდატთა სიაში 17 კალათბურთელია შესული, თუმცა, შესაძლებელია, ეს რიცხვი გაიზარდოს. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში „ბ“ ნაკრები იკრიბება, რომლის რამდენიმე წევრიც ეროვნულ გუნდში მოიაზრება. „ბ“ ნაკრები 26 ივნისიდან 15 ივლისამდე ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას და სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება მის წევრთა ეროვნულ გუნდთან შეერთების საკითხი.

კორექტივებიც იქნება

გაფართოებულ შემადგენლობაში ძირითადი ბირთვი ნაკრების გამოცდილი და უცვლელი წევრები არიან, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა დროს უთამაშიათ ეროვნულ გუნდში, ანაც კანდიდატთა შორის ყოფილან. გაფართოებული სიის ერთადერთი მოთამაშე, რომელიც არასდროს ყოფილა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული, 17 წლის გოგა ბითაძეა. ეს კალათბურთელი სერბულ „მეგა ბიმაქსში“ თამაშობს, 211 სანტიმეტრი სიმაღლისაა, წლევანდელი ახალგაზრდული ევროლიგის ფინალში ითამაშა და შედეგიანობით ფინალურ ტურნირზე საუკეთესო იყო. ბითაძე 14-24 ივლისს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში დაეხმარება, რისი დასრულების შემდეგაც ახალგაზრდა ცენტრი ეროვნულ გუნდს სლოვენიაში შეუერთდება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

◎ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲘᲮᲣᲢᲔᲑᲡ...

ნებისმიერ ეპოქას დაამშვენებდა

ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ფინტების მეფის სამშობლოში ვინმე გააოცო ფინტით. ღირსეულმა ქალაქელმა კაცმა დემიკო ლოლაძემ ეს შეძლო, თანაც ისეთი აუდიტორიის წინაშე, რომელიც თავის დროზე თავად ტკბებოდა მტკვრისპირელი გარინჩას უზადო ოსტატობით და მის გაკვირვებას მოხერხება უნდა.



დედაქალაქის საკრებულოში გამართულ საღამოზე მოგახსენებთ, რომელიც სწორუპოვარი მიხეილ მესხის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის წარდგინებას მიეძღვნა. ორი საათის განმავლობაში თაობათა კერპმა გააერთიანა ოფიციოზი, გულშემატკივარი, ხელოვანი, კალმოსანი და, საერთოდ, იქ შეკრებილი მთელი საზოგადოება. დაგვეთანხმებით, ეს ცოტა როდია, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც ერთმანეთის დაკორტნა ცხოვრების ნორმადაა გადაქცეული.

რაც შეეხება წერილის დასაწყისში ნახსენებ სიურპრიზს: ბატონი დემიკო მიკროფონთან მიწვეულებს ერთი ჭიქა შავი ღვინით უმასპინძლდებოდა და ღონისძიების გმირის შესანდობარის შესმას სთხოვდა. აკი, აღნიშნა კიდეც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, უამრავ შეხვედრას დავსწრებივარ, მაგრამ ასეთი ორიგინალური მეთოდით პირველად მოვიხიბლეო. ცნობისთვის: სწორედ ბატონ დავითს უნდა ვუმადლოდეთ, კრებულის ავტორისთვის შარშან დეკემბერში მიცემული პირობა ოპერატიულად რომ შეასრულა და რამდენიმე თვეში მორიგი სამაგიდო წიგნით გაგვახარა. თანადგომაც ასეთი უნდა!

მადლიერება ვახსენეთ და კულტურის ფონდის პრეზიდიუმსაც მივაგოთ სათანადო პატივი, რომლის სახელითაც ბატონმა თამაზ შილაკაძემ დაუვიწყარი თავყრილობის სულისჩამდგმელს სიმბოლური ფულადი ჯილდო გადასცა.

ამჯერად შეგნებულად ავარიდეთ თავი უამრავი გამომსვლელის დასახელებას, რადგან მათ ერთი რამ — „მესხისტობა“ აერთიანებთ. სხვა საქმეა, ვინ როგორ გამოხატა ჩაუქრობელი ვარსკვლავის ტალანტისადმი ერთგულება — ზოგმა ლექსით, ზოგმა სიმღერით...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

◎ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

სერენა და იტალიელი მეწაღეები

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ კუთხით რომ ვიმსჯელოთ, წესით, მსოფლიოში ყველა ფირმასა და კომპანიას უნდა აწყობდეს ისეთ ცნობილ ადამიანთან საქმის დაჭერა, როგორიც, მაგალითად, ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსია, თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისებიც არსებობენ და მთელი უცნაურობაც ამაშია.

ცოტა ხნის წინათ სერენამ ფეხსაცმლის მწარმოებელ ერთ-ერთ იტალიურ ფირმას თხოვნით მიმართა, მისთვის სპორტული ფეხსაცმელი დაემზადებინა და არც ფირმის მიერ გაცხადებულ ფასდაკლებაზე იქნებოდა უარს, მაგრამ იტალიელებმა ორსული სერენას თხოვნა შორს დაიჭირეს და ფასდაკლება კი არა, საერთოდ უარი განაცხადეს მისთვის რაიმეს დამზადებაზე.

ამ ამბავმა სულ მთლად გადარია უილიამსის ქალი, რომელმაც იტალიელი „საპოჟნიკების“ დამოკიდებულებაში არც მეტი, არც ნაკლები, რასიზმის ნიშნები დაინახა და ეს ამბავი მთელ მსოფლიოს ამცნო. მეწაღეებიც იძულებულნი გახდნენ სიჯიუტე დაევიწყებინათ, ბოდიშიც კოხტად მოიხადეს და სერენას ის ნანინანატრი ფეხსაცმელიც ლამაზად შეფუთული აახლეს, მაგრამ მაინც გასაკვირია. ბიზნესმა ჩოგნის ზომა და კანის ფერი ხომ არ იცის...

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ბორჯღალოსნები და უჯარმა

რაგბის 20 წლამდელთა ნაკრების წევრებმა უჯარმის ციხის ტერიტორია დაასუფთავეს.

კახეთში, საგარეჯოსთან ახლოს პატარა სოფლის — უჯარმის ციხე, რომელსაც მე-3 საუკუნის შემდეგ, მტრის რამდენჯერმე მოგერიება მოუხდა, დღეს ნახევრად დანგრეულია. საპატრიარქოში მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნებას გეგმავენ. წელს, ციხის განახლების დაწყებამდე, მისი დალაგება და კეთილმოწყობა გახდა საჭირო.

5 ივნისს, გარემოს დაცვის დღეს, ეს საქმე საქართველოს მორაგბეთა 20 წლამდელთა ნაკრებმა ითავა. ციხის დასუფთავებაში ნაკრებს „თიბისი ბანკის“ თანამშრომლები ეხმარებოდნენ. მორაგბეებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი და გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებიც შეუერთდნენ.

ძეგლის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალა და ქვები სხვა ადგილზე იყო გადასატანი. ირგვლივ ტერიტორია დასუფთავებას საჭიროებდა. ეს ყველაფერი ერთობლივი ძალებით უჯარმის სტუმრებმა აიღეს საკუთარ თავზე და ციხის მიმდებარედ სივრცე მთლიანად დაასუფთავეს.

დასუფთავებულ ადგილზე კოშკი ჯერ უნდა დაშალონ, შემდეგ კი იმავე ქვებით ხელახლა ააგონ, რაც განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის არის სასიხარულო, რომლებიც დასუფთავებაში მონაწილეობდნენ.

„აქ ყოფნა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ, გარდა ამისა, გარემოს სისუფთავე და ჯანსაღი ცხოვრება ყველა ჩვენგანისთვის აუცილებელია,“ — გვითხრა 26 წლის, საქართველოს რაგბის 20 წლამდელთა ნაკრების წევრმა გიორგი თოიძემ.

მორაგბეები თავიანთი ფიზიკური მონაცემების წყალობით მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს მარტივად უმკლავდებიან. სიმბოლურად მათ გოგონებიც ეხმარებიან. „კარგი იქნება თუ მსგავსი ღონისძიებები ხშირად მოეწყობა. ეს სამომავლოდ გარემოს დასუფთავებას შეუწყობს ხელს“, — აღნიშნა „თიბისი“ ბანკის თანამშრომელმა მარიამ ჩემჩიშვილმა.

რაგბის 20 წლამდელთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს თან სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა „ლეგასი“ ახლავს, რომელსაც ყოფილი მორაგბე ნონო ანდღულაძე მეთავეობს და რომელიც მორაგბეების სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობას გულისხმობს. ამ პროგრამის განხორციელებაში ნონო ანდღულაძეს „თიბისი ბანკიც“ უერთდება, რომელიც 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მხარდამჭერი და რაგბის კავშირის სპონსორია.

უჯარმის ციხე მეფე ასფანგურის დროს, მე-3 საუკუნეში აშენდა. მოგვიანებით მასზე მეფეები — გორგასალი, დაჩი, ვახტანგ V და გიორგი III ზრუნავდნენ. გიორგი III-მ უჯარმა ქვეყნის განძსაცავადაც აქცია. მე-13 საუკუნის შემდეგ, მონღოლთა ბატონობამ უჯარმას, სამწუხაროდ, მნიშვნელობა დაუკარგა. უჯარმის ეკლესია წმინდა ნინოს ერთ-ერთი ჯვრის (რომელიც ნინომ სალომე უჯარმელს ამ ადგილზე გამოატანა) სახელზე აიგო. მას მერე, მადლის აღების მიზნით, ამ ეკლესიაში ჯვარი წელიწადში ერთხელ ამოაქვთ, შემდეგ კი სხვა ეკლესიაში მიაქვთ.

სანთელი

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, დიდი პროფესიონალი და უაღრესად ერუდირებული ადამიანი, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული მამა , ბაბუა და დიდი ბაბუა, სამშობლოსათვის გულანთებული, მისი ჭირ-ვარამისა და წარმატებების უანგაროდ გამზიარებელი, უღალატო მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

შოთა დავითის ძე კიკალიშვილი

მეგობრები თანავუგრძნობთ ოჯახს, ნათესავებს და გამოვთქვამთ უზომო გულისტკივილს მომხდარის გამო. მსუბუქი იყოს ქართული მიწა სახელოვანი კაცისათვის.

ნ.ჭითანავა, ბ.გულუა, ო.კაჭარავა, თ.კუნჭულია, კ.ბაძრაძე, გ.გენავა, თ.სვანიძე, თ.მესხია, რ.ჭანტურია, დ.დათოშვილი, დ.კირვალიძე, ვ.ჟვანია, გ.ტყეშელაშვილი, ნ.ხოხაშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრჩევლის

შოთა კიკალიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.



ძმისშვილები ბესიკ, შორენა გვილიები, რძლები ნათელა ქარჩავა, მადონა ვეკუა, ძმისშვილიშვილები აკაკი, სოსო გვილიები მწუხარებით იუწყებიან ბიძის, დამსახურებული პედაგოგის

ჟორჟი ვასილის ძე გვილიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 VI, დაკრძალვა 9 VI, ზუგდიდის რაიონის სოფელი ყულიშკარი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას შორენა გვილიას ბიძის

ჟორჟი გვილიას

გარდაცვალების გამო.

◎ **უსაფრთხოების ანბანი**

„ცოდნის“ ზურგჩანთა

ახლანდელი **სკოლის მოსწავლეები (და არა მარტო ისინი), სასწავლებელში წიგნებისა და რვეულების სატარებლად, ყოველდღიურ ყოფაშიც, ზურგჩანთებს ხმარობენ, რაც მეტად მოხერხებულია. ამასთან, სავაჭრო ქსელში დიდი თუ პატარა ზურგჩანთების ძალიან დიდი არჩევანია, ამიტომ მშობლები, მით უმეტეს, მოახლოებული ახალი სასწავლო წლის პირობებში, ხშირად საგონებელში არიან ჩავარდნილნი — როგორი ზურგჩანთა შეუძინონ თავიანთ შვილებს და როგორი უნდა იყოს მისი დატვირთვა, რომ ბავშვს ზიანი არ მიადგეს და ტანადობა არ დაუმახინჯოს?**

ბავშვის ზურგჩანთა მაქსიმალურად მსუბუქი უნდა იყოს — უმცროსი კლასების მოსწავლეთათვის ცარიელის წონა 700 გრამს არ უნდა აღემატებოდეს.

გაითვალისწინეთ: ბავშვისთვის უნდა შეიძინოთ ორთოპედიული ზურგჩანთა — რომელსაც ხისტი ზურგი, ფართო და მკვრივი თასმები და მკვრივი ძირი ექნება.

თუკი ბავშვს სკოლამდე მისასვლელად სამანქანო გზის გასწვრივ სიარული უწევს, ზურგჩანთას აუცილებლად უნდა ჰქონდეს კატაფოტები — შუქის ამრეკლავი ზოლები, რომელთა მეშვეობით, ცუდი განათების პირობებში, ბავშვი მძღოლებისთვის ადვილი შესამჩნევი იქნება. თუკი თქვენს მიერ შერჩეულ ზურგჩანთას კატაფოტები არ მოყვება, ისინი ავტომაღაზიაში შეგიძლიათ, შეიძინოთ და შემდეგ დააკეროთ ან დააწებოთ მას.

იზრუნეთ საკუთარი შვილის უსაფრთხოებაზე!

ორთოპედებს მიაჩნიათ, რომ შევსებული სასკოლო ზურგჩანთის წონა თავად ბავშვის წონას 10-15 პროცენტით არ უნდა აღემატებოდეს;

კერძოდ, პირველი-მე-2 კლასის მოსწავლეთათვის — 2 კილოგრამს; მე-5-მე-6 კლასების მოსწავლეთათვის — 2,5 კილოგრამს; მე-7-მე-8 კლასების მოსწავლეთათვის — 3,5 კილოგრამს; მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეთათვის — 4,0 კილოგრამს.

მაგრამ, რეალურად, სკოლის სახელმძღვანელოები მეტს იწონიან, ამიტომაც, როცა მათ კიდევ რვეულები, საწერი მოწყობილობები, საუზმე, წყალი და ა.შ. ემატება, ზურგჩანთა, რეალურად, ჰიგიენურ ნორმაზე 2-2,5-ჯერ მეტს იწონის.

მაშ როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში მშობლები საიმისოდ, რომ ზურგჩანთა მაქსიმალურად შეამსუბუქონ?

• ბავშვთან ერთად რამდენჯერმე ჩაანყონ ის და დარწმუნდნენ, რომ სკოლაში ზედმეტი არაფერი მიაქვთ.

• აღნიშნონ, თუ რომელ დღესაა ზურგჩანთა განსაკუთრებით მძიმე და სკოლის ხელმძღვანელობისა და მშობელთა კომიტეტის წინაშე გაკვეთილების ცხრილის უფრო თანაბრად გადანაწილების საკითხი დააყენონ.

• თუკი ამის გაკეთება არ ხერხდება, დაბალი კლასის მოსწავლეთა მშობლებმა კლასის დამრიგებელს შეიძლება მოელაპარაკონ პრობლემის გადაჭრის ვარიანტებზე:

ა) სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ნაწილის კლასში დატოვების თაობაზე იმ პირობით, რომ საშინაო დავალებების შესასრულებლად მეორე კომპლექტს სახლში იქონიებენ;

ბ) ან მოსწავლეებს თითო მერხზე თითო სახელმძღვანელოს მიტანის უფლება დართონ;

გ) ან სახელმძღვანელოების ნაწილი ელექტრონულ წიგნში ჩატვირთონ.

ბუნებრივია, სახელმძღვანელოთა მეორე კომპლექტის შეძენა ზედმეტ ხარჯთანაა დაკავშირებული ისევე, როგორც საკლასო ოთახებში წიგნების შესანახად დამატებითი სტელაჟების მოწყობა, მაგრამ ბავშვის ხერხემლის ჯანმრთელობის აღდგენა გაცილებით ძვირი დაჯდება.

ელექტრონული გაჯეტები მხედველობას აფუჭებს, რადგან მათი ეკრანები ანათებს. ამიტომ სამეცადინოდ საჭიროა სწორედ ელექტრონული წიგნების და არა გაჯეტების გამოყენება.

იმისათვის, რომ ბავშვებს სკოლაში საუზმისა და წყლის ზიდვა არ მოუწიოთ, მშობელთა კომიტეტის მეშვეობით ეცადეთ, წესრიგი დაამყაროთ სასკოლო სასადილოში, სადაც დიდ დასვენებაზე ბავშვებმა ცხელი საუზმეც უნდა მიიღონ და ერთჯერადი ჭიქებით დაკომპლექტებული კულერიც იქნება.

მოამზადა

ნინო ალექსანდრიამ

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

ვულოცავთ!

აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის მორიგი საერთაშორისო აღიარება

2017 წლის 19 მაისს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის საერთო კრებაზე (სადაც გაერთიანებულია 1300-ზე მეტი წევრი მსოფლიოს 40 ქვეყნიდან) აკადემიის პირველ ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი.

ბატონო არჩილ! გილოცავთ კიდევ ერთ საერთაშორისო აღიარებას, რომელიც ადასტურებს თქვენს თვალსაჩინო ღვაწლს საინჟინრო მეცნიერების განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

გისურვებთ წარმატებებს.

დიდი პატივისცემით
ნანული (ნანა) გუნია
აბაშის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

ბათუმში BMW-ს ცენტრის გახსნა იგეგმება

როგორც ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, BMW-ს ცენტრის გახსნის ღონისძიებასთან დაკავშირებით მერიას განცხადებით მიმართა კომპანია „ომეგა ჯგუფმა“ მელიქიშვილის ქ.№5-7 -ში არსებული ავტობუსის მოსაცდელის კონსტრუქციის დროებით მოხსნასთან დაკავშირებით, რადგან კონსტრუქციის მდებარეობა შეუძლებელს ხდის ცენტრის სალონში ავტომობილების შეყვანას.

2 დღის შემდეგ კი, კომპანია თავადვე განახორციელებს კონსტრუქციის ხელახალ მონტაჟს.

ასევე, უახლოეს მომავალში კომპანია „ომეგა ჯგუფი“ ქალაქს საჩუქრად გადასცემს სრულიად ახალ, თანამედროვე სტანდარტისა და დიზაინის ავტობუსის მოსაცდელს, რომელიც აღნიშნულ მისამართზე დამონტაჟდება.

„იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ავტომობილების მწარმოებელი კომპანია BMW-ს წარმომადგენლობის ბათუმში გახსნა მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის, მერია ითვალისწინებს კომპანიის თხოვნას, 6-7 ივნისს ავტობუსის გაჩერებაზე არსებული კონსტრუქციის მოხსნასთან დაკავშირებით, მოსახლეობას კი ბოდიშს უხდის გამოწვეული დისკომფორტის გამო“, – აღნიშნულია ბათუმის მერიის განცხადებაში.

ზღვის სეზონს ბათუმი ახალი სასტუმროთი ხვდება

ტერაბანკის მხარდაჭერით ბათუმს კიდევ ერთი ტურისტული ადგილი შეემატა. 101-ნომრიანი სასტუმრო – „სქაი თაუერსი“ ქალაქის ცენტრში, ხიმშიაშვილის 17 ნომერში გაიხსნა. სასტუმროს ბათუმში ყველაზე დიდი ფიტნესდარბაზი, სპა, დახურული აუზი, ღამის კლუბი და კაზინო აქვს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ბათუმის სტუმრებისთვის მალე ერთ-ერთ საყვარელ თავშეყრის ადგილად გადაიქცევა. სასტუმრო „მეტრო დიზაინის“ მიერ არის დაპროექტებული. შენობის კონცეფცია ძალიან მომხიბვლელი და საინტერესოა. მისი რეკონსტრუქცია ძალიან მოკლე დროში მოხერხდა. სარემონტო სამუშაოები 2016 წლის თებერვალში დაიწყო და 2017 წლის მაისში სასტუმრო უკვე გახსნეს. ჯამში 20 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. „სქაი თაუერსის“ გახსნა „ტერაბანკის“ მხარდაჭერით მოხერხდა“ – რაულ კახაძის, კომპანიის დირექტორის განმარტებით სასტუმროს გერმანული კომპანია – „სქაი თაუერსი“ გაუწევს ოპერირებას, თუმცა სასტუმრო ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული. ამ ეტაპზე კომპანიაში 90 ადგილობრივი უკვე მუშაობს. ერთი თვეა, რაც „სქაი თაუერსი“ სატესტო რეჟიმში იღებს სტუმრებს, თუმცა საზეიმო გახსნის შემდეგ, რომელსაც ადგილობრივი მთავრობა, ტერაბანკის წარმომადგენლები და სპეციალურად მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, სასტუმრო სრული დატვირთვის სამუშაო რეჟიმზე გადავიდა.

◎ სულიერება

მცხეთის ჯვრის დღესასწაული

7 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს სულთმოფენობის შემდგომ ოთხშაბათს, როდესაც მცხეთის ჯვრის დღესაც აღნიშნავენ.

ცნობილია, რომ მცხეთის ჯვრის დღესასწაული თავისი მადლით უთანასწორდება იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების უდიდეს დღესასწაულს. „...და აჰა ჩამოვიდეს ჯუარი ცეცხლისაი დაგვირგვინებული ვარსკვლავითა და დაადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა ამას ზედა“.

ცხადია, რომ „ჯვარი ცეცხლისაი“, რომელიც სვეტიცხოვლის თავზე გამოცხადდა, უბრალოდ ნიში კი არა, საკუთრივ გოლგოთის ჯვარი იყო.

საგულისხმოა, რომ ჯვრის გამოჩინების დღესასწაული, რომელიც მივიწყებული იყო, 2007 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II აღადგინა.

გილოცავთ მცხეთის ჯვრის დღესასწაულს!

* * *

დღესვეა წმიდა იოანე ნათლისმცემლის პატიოსანი თავის მესამედ პოვნა

ტროპარი: ხსენება მართლისა ქებით აღესრულების, ხოლო შენდა კმა არს წამება უფლისა, წინამორბედო, რამეთუ ჭეშმარიტად გამოსჩნდი უდიდებულეს წინასწარმეტყველთა და რამეთუ ქადაგებულსა მას შენ მიერ, წყალთა შინა ღირს იქმენ ახარე მყოფთა ჯოჯოხეთისათა ღმერთი, ხორცითა გამოჩინებული, და აღმხმელი ცოდვათა სოფლისათა, რომელი მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა წყალობასა“.

გიული ლიპარტია

სეტყვა



ჰაერის ძლიერი აღმავალი ნაკადების წვიმის ღრუბლებში მოხვედრისას, ტენი იყინება და სეტყვა წარმოიშვება, რომელიც წლის თბილ დროს, დაახლოებით ცელსიუსის 20 გრადუსზე მოდის ხოლმე.

სეტყვა ხშირია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, შუა აზიის მთიან რაიონებში. სეტყვის მარცვლები ზოგჯერ ისეთ ზომას აღწევს, რომ შეიძლება სტიქიურ უბედურებად იქცეს.

მაგალითად, 1965 წელს ქალაქ კისლოვოდსკში მოსულმა სეტყვამ მიწის ზედაპირი... 75 სანტიმეტრის სიმაღლის ფენით დაფარა. ბანგლადეშის ჰაპლანგის ოლქში კი 1986 წელს 800-გრამიანმა ხოშკაკალამ (!!) 92 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა!

„ჯოკონდას“ ღიმილი



– ის ხან იცინის, ხან ილიმება, ხან კუშტად იცქირება, – ამას ამბობენ ისინი, ვისაც ლეონარდო და ვინჩის ლეგენდარული „მონა ლიზას“ დიდი ხნის მანძილზე ტკბობის საშუალება ჰქონია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ნევროლოგიის პროფესორმა მარგარეტ ლივინგსტონმა სცადა, გაერკვია ამ ილუზიის წარმოშობის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ეს შეგრძნება ჩნდება არა თავად სურათის ზემოქმედებით, არამედ იმის გამო, თუ როგორ ვუცქერთ მას. ცნობილია, რომ ჩვენ ორი სახეობის მხედველობა გვაქვს – პერიფერიული და ცენტრალური. მხედველობის პირველი ტიპი ჩვენს თვალწინ გადაშლილი პანორამის ერთიანად თვალის შევლების საშუალებას გვაძლევს, მეორე კი უფრო ნელა მუშაობს, სამაგიეროდ დეტალებს აღგვაქმევინებს. თუკი „მონა ლიზას“ თვალებში ვუცქერთ, ანდა მის უკან ფონს აღვიქვამთ, მაშინ პერიფერიული მხედველობა „ირთვება“ და ქალის ღიმილი უფრო გამოკვეთილი გვეჩვენება, ვინაიდან პერიფერიული მხედველობა შუქჩრდილებისა და საღებავების თამაშს არჩევს. მაგრამ, თუკი პირდაპირ „ჯოკონდას“ ტუჩებს ვუყურებთ, ღიმი თითქმის არ ჩანს, რადგან თვალი დეტალების გარჩევითაა „დაკავებული“, ელფერებსა და ნიუანსებს კი სრულიად აღარ არჩევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4233; ევრო - 2.7235;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1268;
100 რუბლი - 4.2725; თურქული ლირა - 0.6882;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4352;
1000 სომხური დრამი - 5.0193.

ამინდი 7 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge